# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 2013 წელი.

№224 (7352)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ან უკვე პრეზიდენტ-ყოფილის ნაბუქუტურევი,

ანუ არსებობს თუ არა სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება? 3





გუშინ საქართველოს პარლამენტმა ახალი მთავრობა — ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება დაამტკიცა

## დანაშაულია, თუ თანხები „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის პიარისთვის იხარჯებოდა 5

## საქართველოს ახალი პრემიერი სკოლაში მთავარ დიპლომატობაზე ოცნებობდა 8

„ქუჩური ჭიტლაყი“

## ვინც ქიად იქცა... 5

ანუ, გაუვიდა ყავლი თქვენს ვირეშმაკობებს, ნაცებო!



## ერთი განუკითხაობის ამბავი 4

„გონივრული ექვიდან“ – „მიზანშეწონილობამდე“(?!)

ამ წერილში, რომლის ავტორისეული სტილი დაცულია, დიდი ადამიანური დამაჯერებლობით არის მოთხრობილი ერთი ქართული ოჯახის ჭირ-ვარამი. მიგვაჩნია, რომ ბატონი ტარიელ დოლიძე სამართლიანად მოითხოვს პასუხს საკუთარი შვილის სამსახურიდან უსაფუძვლო განთავისუფლების გამო





ასე გააკეთა ჩემი გასაკეთებელი საქმე გოგი ქავთარაძემ... 7

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ეკონომიკა — ფინანსები

# ტყუილისა და სიმართლის ჭიდილი



## ვინ და რამდენი უნდა დააცადოს ნოდარ ხადურს?

**უმთავრესად, ეკონომიკური შინაარსის მიმართ არის პრეტენზიები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა“ უყენებდა „ქართულ ოცნებას“ ახალი მთავრობის დამტკიცების წინ. შესაბამისად, კრიტიკის საგანგებო სამიზნე ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხადური, რომელიც 19 ნოემბერს, მწვავე დისკუსიის ფორმატში, საპარლამენტო უმცირესობის შეკითხვებს პასუხობდა. რას ფიქრობენ ექსპერტები — რატომ არ იზრდება საქართველოს ეკონომიკა?**

**— ციფრებით ხალხი არ იკვებება, ხალხს უნდა რეალური ეკონომიკა,** — ასე „მოხდენილად“ უპასუხა ნოდარ ხადურმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა შენიშვნებსა და რეპლიკებს ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით. ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა ეკონომიკური ზრდის ილუზიას ქმნიდა, ანუ ზრუნავდა პროცენტული მაჩვენებლების გაზრდაზე და სულაც არ ადარდებდა, რომ საზოგადოება ამ პროცესში ვერანაირ სარგებელს ვერ ღებულობდა. ამ კონტექსტის მაგალითებს შორის ნოდარ ხადური ასახელებს პარლამენტის ახალ შენობასაც, რაც 340 მილიონი ლარი დაჯდა:

— იმით, რომ ეს შენობა აშენდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ... მათ შორის, იუსტიციის სახლები, შეიქმნა ილუზია იმისა, რომ ეკონომიკაში არის სერიოზული ზრდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო. 3,5%-ია საშუალო ზრდა ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში, რეალურად, ამბობს ხადური.

თუკი ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ლოგიკა მართებულია და წინა წლებში ეკონომიკის ზრდას ის მართლაც „ილუზორულად“ მიიჩნევს, მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ აინტერესებს, რატომ არ აიღო ათვლის წერტილად „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი დაბალი მაჩვენებელი და რატომ დაგეგმა 6%-იანი ზრდა, რაც შემდეგ რეალურად ველარ შეასრულა? გავიხსენოთ, რომ 2013 წლის ეკონომიკური ზრდის რეალური მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება საპროგნოზო მაჩვენებელს და ის, პირველი ცხრა თვის მონაცემებით, 1.7%-ს შეადგენს.

— შარშან 100 მილიონ ლარამდე იყო არადეკლარირებული საგადასახადო შეთანხმებები. ეს იყო ბიზნესისთვის **შეწერილი** ფული. მათ შორის — საშემოსავლოში იყო, სხვათა შორის. აი, ასე იყო... ასკვნის ნოდარ ხადური

საკითხის ამგვარად დასმის საპასუხოდ ხადურს, მაგალითად, მანამდეც არაერთხელ უთქვამს, რომ ახალ ხელისუფლებას სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის შეჩერება და გადახედვა მოუხდა, რადგანაც კომპანიებთან ტენდერების გაფორმების პროცესში კორუფციული გარიგებების მაღალი რისკი შეიმჩნეოდა. ამ ყველაფრის შედეგად, ვერ დაიხარჯა რამდენიმე ასეული მილიონი ლარი. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ობიექტური მიზეზებით, შემცირდა სახელმწიფო დაფინანსების წილი სამშენებლო სექტორში.

19 ნოემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გამართულ მოსმენაზე უმცირესობის წარმომადგენელმა დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა დასვა შეკითხვა, რატომ შემცირდა საგადასახადო შემოსავლები 100 მილიონი ლარით წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. ნოდარ ხადური კლების ამგვარ ტენდენციას უკანონო შემოსავლების შემცირებით ხსნის:

— შარშან 100 მილიონ ლარამდე იყო არადეკლარირებული საგადასახადო შეთანხმებები. ეს იყო ბიზნესისთვის შეწერილი ფული. მათ შორის — საშემოსავლოში იყო, სხვათა შორის. აი, ასე იყო... — კიდევ ერთხელ განმარტა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის მისამართით ერთ-ერთი მწვავე პრეტენზია პენსიების ზრდის თემასაც უკავშირდება. ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა დაპირება პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების თაობაზე და რომ შემდგომი ზრდა 2015 წლიდან გაგრძელდება. ეს აქცენტები 19 ნოემბერს საკომიტეტო მოსმენაზეც დაისვა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დეპუტატის გიორგი ვაშაძის შეკითხვებმა ნოდარ ხადურის ემოციური შეპასუხება გამოიწვია. ის შეეცადა ოპონენტისთვის შეუსრულებელი დაპირებაც შეეხსენებინა:

**ვაშაძე: რატომ არ არის პენსიების ზრდა მომავალი წლის ბიუჯეტში? და როდის აპირებთ 230-ლარიანი პენსიის დაპირების შესრულებას მოქალაქეებისთვის?**

**ხადური: როდის გახადეთ 100 დოლარი პენსია, ბატონო გიორგი?**

**ვაშაძე: ნუ ნერვიულობთ, ბატონო ნოდარ, დამშვიდდით.**

**ხადური: არა, კი არ ვნერვიულობ, ისევ ტყუილებს ამბობთ და ეგრე არ გამოვა...**

* * *

რეალობა, რომელიც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შემცირებით ხასიათდება, გასაკვირი არ არის ექსპერტისთვის ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძისთვის. როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ეს პროცესი, დიდწილად, ინვესტიციების შეფერხებამ გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, შიდაპოლიტიკური დაპირისპირებით იყო განპირობებული:

„იყო ძალიან მძიმე წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემო 2012 წელს. ამას დავამატოთ ის, რომ იყო კოჰაბიტაციის რეჟიმი: პრეზიდენტი იყო ოპოზიციაში, ხოლო მთავრობა იყო სხვა გუნდი და ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ ერთმანეთს. პრეზიდენტი საზღვარგარეთ არასასურველ განცხადებებს აკეთებდა, რომ ქვეყანა ბრუნდება წარსულში და ასე შემდეგ. ეს, საბოლოო ჯამში, ინვესტორთა განწყობაზე, რა თქმა უნდა, აისახა. ამან განაპირობა ინვესტორების გადაყვანა მოლოდინის რეჟიმში“.

ახლა, როცა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კოჰაბიტაცია დასრულებულია და ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელად დასახელებული მიზეზებიც მოხსნილია დღის წესრიგიდან, ნოდარ ხადურს ფინანსთა მინისტრის პოსტზე მუშაობა გარკვეული დროით კვლავ უნდა აცალონ, — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, ბიზნესადმინისტრირების დოქტორი **გიორგი აბაშიშვილი** მავანთა იმ მოლოდინის საპასუხოდ, რომ ნოდარ ხადურს აღარ იხილავდნენ ახალ მთავრობაში. გიორგი აბაშიშვილი ფიქრობს, რომ რეალური შედეგები რამდენიმე თვეში გამოჩნდება და სწორედ ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის წარმომადგენლების და, მათ შორის, ნოდარ ხადურის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

**ლელა კუნჭულია**

ინფორმაცია

## ბოლო რამდენიმე თვეში ეკონომიკა გამოცოცხლდა

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა.**

**— ჩვენ ბევრ საკითხზე შევთანხმდით, მათ შორის, მომავალი წლის პროგნოზებზე - ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, პრაქტიკულად, გაიზიარა საქართველოს მთავრობის ხედვა, რაც კიდევ უფრო დიდ იმედს გვაძლევს, რომ მომავალ წელს საქართველო მიაღწევს დაგეგმილ ყველა მაკროეკონომიკურ პარამეტრს, რომელსაც ეყრდნობა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, — განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.**

**სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის მარკ გრიფიტსის თქმით კი, შეხვედრაზე საუბარი მიმდინარე წლის ეკონომიკური მდგომარეობასა და მომავალი წლის პერსპექტივას, ასევე 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით მთავრობის გეგმებს შეეხო.**

**— წელს ეკონომიკური ზრდა, სავარაუდოდ, 2.5%-3% შეადგენს, თუმცა, ბოლო რამდენიმე თვეში ეკონომიკა გამოცოცხლდა, რაც ძალიან კარგი ნიშანია და შემდეგი წლისთვის იმედი გვაქვს, რომ ეკონომიკის ზრდა დაახლოებით 5% იქნება, რაც ძალიან კარგი იქნება. აღნიშნულის მისაღწევად ჩვენ პოლიტიკური სტაბილურობა, გაუმჯობესებული ბიზნესგარემო, ფისკალური სტიმულირება გონივრულ ფარგლებში, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა გვჭირდება. მთავრობამ ასევე, უნდა იმუშაოს უმუშევრობის აღმოფხვრის მიმართულებით და მეტი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, რათა ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ახალ მთავრობას აქვს კარგი შანსები აღნიშნულის მისაღწევად და ჩვენ გვსურს მათ დახმარება გავუწიოთ, — აღნიშნა სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა.**

## ვახტანგ კაპანაძეს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად დანიშნავენ...

**„გენერალთა კლუბი“ მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად გენერალ ვახტანგ კაპანაძის დანიშვნა საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება.**

**როგორც „გენერალთა კლუბის“ ანალიტიკური სამსახურის უფროსმა თამაზ იმნაიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ კაპანაძის დანიშვნის შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.**

**— ეს ინფორმაცია ჩვენამდეც მოვიდა, რომ, შესაძლოა, კაპანაძე დაინიშნოს ამ თანამდებობაზე. ის არის ერთადერთი გენერალი შეიარაღებულ ძალებში. მას აქვს ძალიან დიდი სამხედრო გამოცდილება და ვფიქრობთ, რომ მისი დანიშვნა გაერთიანებული შტაბის უფროსად საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება, — აღნიშნა იმნაიშვილმა.**

**მისივე თქმით, ამჟამინდელ უფროს ირაკლი ძნელაძეს ამ თანამდებობისთვის შესაფერისი ბეგრაუნდი არ აქვს.**

**— ძნელაძე პირადად სააკაშვილის გადაწყვეტილებით დაინიშნა. სააკაშვილმა არ მიიღო კაპანაძის კანდიდატურა, რომელიც ალასანიამ წამოაყენა. ძნელაძეს არ აქვს არანაირი შესაფერისი ბეგრაუნდი, რომ ამ თანამდებობაზე იყოს, — აღნიშნა იმნაიშვილმა.**

**ინტერპრესი**

სატვირთო გადაზიდვები

# სატრანზიტო დომინანტი

**ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოტენციალზე მსჯელობისას, ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად ექსპერტები ყოველთვის საქართველოს სხვადასხვა სახეობის ტვირთების გადაზიდვის სატრანზიტო მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ, რაც არანაირ ეჭვს არ იწვევს. მართლაც, ევროპა-აზიისა და საპირისპირო მიმართულებით ტვირთების გადაზიდვის მოცულობა წლიდან წლამდე მატულობს, რასაც ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, თუმცა კი აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხრივ ზოგიერთ სეგმენტში მდგომარეობა განსხვავებულია.**

კერძოდ, წლეულს გაიზარდა გადაზიდვები საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტით, ოღონდ ეს მხოლოდ სატრანზიტო ტვირთებს ეხება, მათი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული მაჩვენებელი კი პირიქით, შემცირდა. წლის გასულ პერიოდში ყველაზე მეტად გაზრდილია ხორბლის გადაზიდვა (188 პროცენტით), ნაყარი და თხევადი ტვირთების (შესაბამისად, 78 და 20 პროცენტით), ქიმიური სასუქების (დაახლოებით 11 პროცენტით), შაქრის ნედლეულის (10 პროცენტით) და სხვ. მატება უმეტესწილად ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაზე მოდის, რომელმაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის მესამედით გადააჭარბა. ტვირთების მიმართულების თვალსაზრისით ჭარბობს სატრანზიტო გადაზიდვები, რომელთაც ნავსადგურის მთლიან ტვირთბრუნვაში 37 პროცენტი უკავია, ხოლო 36-პროცენტიანი მაჩვენებლით მეორე ადგილი იმპორტირებულ საქონელს უკავია. წლის პირველ ნახევარში საქართველოს გავლით ყველაზე მეტი ტვირთი (მთლიანი მოცულობის 95 პროცენტი!), მათ შორის უმთავრესად საშენი მასალები და მადნის ნაყარი, აზერბაიჯანმა, ძირითადად თურქეთიდან და უკრაინიდან მიიღო. ამ ხნის მანძილზე აჭარელმა დოკერებმა 348 სატვირთო გემი დაამუშავეს, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე საგრძნობლად მეტია.



გადაზიდვების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია ასევე საავტომობილო ტრანსპორტზე, სადაც ისევე, როგორც საზღვაო გადაზიდვების შემთხვევაში, ლომის წილი ისევ სატრანზიტო ტვირთებზე მოდის და სფეროში დასაქმებული კომპანიების წარმომადგენელთა პროგნოზით მომავალში ეს ნაკადი კიდევ უფრო მეტად მომძლავრდება. ამასთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ ბოლო დროს საგრძნობლად იკლო ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვამ და ეს ტენდენცია ასევე შესამჩნევია ქვეყნის შიგნით შემომავალ სატვირთო ავტომობილების რიცხოვნობაზე, თუმცა კი ვარაუდობენ, რომ ტენდენცია გაისად და მერმის აუცილებლად პოზიტიურად შეიცვლება.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა სარკინიგზო ტრანსპორტზეა, რომლითაც სატვირთო გადაზიდვები წლის პირველ ნახევარში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ გარემოებას დარგის ზოგიერთი ექსპერტი მსოფლიო ბაზარზე შექმნილ ვითარებას უკავშირებს, სხვები გარკვეულ შიდა მიზეზებს ასახელებენ. ყველაზე არასახარბიელო კი ისაა, რომ ამ მაჩვენებელს, მოყოლებული 2007 წლიდან, ექვსი წლის მანძილზე კლების ტენდენცია ჩამოუყალიბდა. ყოველვე ეს, ბუნებრივია, „საქართველოს რკინიგზის“ მოგების დონეზეც აისახება: შარშან წლის პირველ ნახევარში კომპანიამ 93 მილიონი ლარი წმინდა მოგება მიიღო, წლეულს ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 37 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ გარემოებას თავად კომპანიაში ლარის კურსის ცვლილებით, ასევე „ბათუმი-თაუერის“ ჩამოწერით, კერძოდ, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის 33 მილიონი ლარის ღირებულების აქტივების გადაცემით ხსნიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მთავარი მიზეზი, როგორც ჩანს, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონეა, რომელიც, ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, გაისად და მერმის საგრძნობლად უნდა გაიზარდოს, რაც, ბუნებრივია, სატვირთო გადაზიდვებზეც შესაბამისად უნდა აისახოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**2013 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარიზში ნიკოლა სარკოზის შეხვდა.**

**როგორც სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ იტყობინებოდა, სააკაშვილმა სხვა საკითხებზე საუბართან ერთად განაცხადა, რომ „სარკოზი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი ცოცხალი და მოქმედი სიმბოლო. მაშინ, როდესაც ხელი მოეწერა სარკოზი-მედვედევის შეთანხმებას, ძალიან დიდი ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ბოლომდე არის დაცული“.**

**შემდეგ ეს სუბიექტი აცხადებს, რომ „ პრობლემა არის ის, რომ, თუ გასული წლის ოქტომბრამდე სარკოზი -მედვედევის შეთანხმებას ევროპელები და ამერიკელები რუსეთს პრაქტიკულად ყოველ კვირა ახსენებდნენ, 1 ოქტომბრის შემდეგ,... საქართველოს მთავრობამ შეწყვიტა ამ შეთანხმებაზე ლაპარაკი და ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც მაშინვე შეწყვიტეს ამ ხელშეკრულების დაცვაზე საუბარი“.**

**საინტერესოა, თუ კიდევ რა სისულელე უნდა თქვას ამ სუბიექტმა, რომ კლინიკური კრეტინიზმის ოფიციალური დიაგნოზი დაესვას? ეს პროვოკატორი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არა მარტო ბოლომდეა დაცული, არამედ ამ დარღვეულ მთლიანობას ცოცხალი სიმბოლოც ჰყავს. მისი ავანტიურის შედეგად, დაკარგული ტერიტორიის 20 პროცენტი სათვალავში აღარაა ჩათვლილი. პროვოკატორის ამ ლოგიკით, „ბოლომდე დაცული“ ტერიტორიული მთლიანობის მეორე სიმბოლოს მედვედევი უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას (თუკი იგი არსებობს) ისიც აწერს ხელს!**

# ან უკვე პრეზიდენტ-ყოფილის ნაბქუტურევი,

## ანუ არსებობს თუ არა სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება?

საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელ პირებს, მილოცვასთან ერთად, უნდა თანავუგრძნოთ იმ საგარეო პოლიტიკური მემკვიდრეობის გამო, რომელიც კრიმინალი წინამორბედებისგან მიიღო. ამასთან, უცნობია, თუ რა ანალიტიკური, ან თეორიული ნაბიჯები მაინც განახორციელა ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართებით. ეს კი, ალბათ მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ რეალური სურათის სრული მოცულობით აღსაქმელად, რაც ტერიტორიული მთლიანობის ამჟამინდელ პრობლემაზე შეუქმნიდა სრულ წარმოდგენას ახალ უმაღლეს ხელისუფალთ.

ზემოხსენებულ ციტატებში ოთხჯერ, მხოლობით რიცხვშია ნახსენები დოკუმენტი, რომელიც თითქოს სარკოზი-მედვედევის მიერ არის ხელმოწერილი. ამ დროს კი ეს დოკუმენტი საქართველოში თვალით არავის უნახავს, და **საერთოდ წარმოუდგენილია იმაზე ზეპირი მსჯელობა, რეალურად არსებობს თუ არა ბუნებაში სარკოზისა და მედვედევის მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტი,** როგორადაც მას სააკაშვილი ახსენებს.

ზოგადად, ამ დოკუმენტის არსებობის საკითხი სქელი ბურუსითაა მოცული, რაც იმის საფუძვლიან ეჭვს ბადებს, ხომ არ არსებობს სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის საკითხს დაარეგულირებდა? **ამ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ არსებობდეს კიდევ სხვა, სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც, მისი პიროვნული უსაფრთხოების სანაცვლოდ, ქვეყნის ტერიტორიათა და სხვა არსებით ინტერესთა დათმობას შეეხება.**

ამ ეჭვს აღრმავებს ის შავბნელი ისტორია, რომელიც კონკრეტულად, ზემოხსენებულ დოკუმენტს (თუ დოკუმენტებს) შეეხება. სხვა წყაროების ხელმიუწვდომლობის, თუ არ არსებობის გამო, საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით მივმართეთ რუსულ, ამერიკულ, ფრანგულ და დასავლეთ ევროპულ წყაროებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა ბეჭდვითმა ორგანო „საერთაშორისო ცხოვრებამ“ 2012 წელს, მერვე ნომერში გამოაქვეყნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის სტატია, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ: **„2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტ ნ. სარკოზის და რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს შორის მოლაპარაკებათა შედეგად მოწონებულ იქნა კონფლიქტების დარეგულირების ექვსი მშვიდობიანი პრინციპი“.** ამის შედეგად შეიქმნა ორი ცალ-ცალკე დოკუმენტი.

კერძოდ, კარასინი სიტყვასიტყვით წერს შემდეგს: ...**„იმ დროს, როდესაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ამ ექვს პრინციპს იმ სახით, როგორც ისინი ჩამოაყალიბეს რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტებმა, მ. სააკაშვილმა, ხელი მოაწერა არსებითად სხვა ტექსტს. მასში არ არსებობს მედვედევის, სარკოზისთან შეთანხმების პრინციპულად მნიშვნელოვანი პრეამბულა, რომელშიც დაფიქსირებულია მოწოდება ყველა მხარესთან (ქართულ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ) ხელი მოეწერათ ამ ექვსი პრინციპისთვის. ამგვარად, არ არსებობს საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ძალის არ გამოყენების თაობაზე არავითარი ერთობლივად ხელმოწერილი შეთანხმება. სწორედ ეს ქმნის რეგიონში უსაფრთხოების ვაკუუმს და გახდა ამიერკავკასიის თაობაზე ჟენევის დისკუსიების საკვანძო თემა“.**

**„კითხვას, თუ „ვის შორისაა დადებული ეს „შეთანხმება“ ?“ — მკაფიო პასუხი, რა თქმა უნდა, არ მოჰყვება. ამ ეშმაკობის აზრი, რა თქმა უნდა, ნათელია. ზოგიერთ პარტნიორს ძალზედ სურს, კონფლიქტის ორი მხარის სახით, ერთ დაფაზე განათავსოს რუსეთი საქართველოსთან. თითქოს შემთხვევით, უნებლიედ, ივიწყებენ დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის არსებობას“.**

ზოგადად, რუსეთის წარმომადგენლის ეს განცხადება, მართლსაწინააღმდეგო, დემაგოგიური მსჯელობის, სიცრუის და იმპერიული სითავხედის თვალნათელი მაგალითია, რომელზეც რატომღაც ქართულ მხარეს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. აღნიშნული სტატიის სხვა პუნქტებიც, ასევე კრიტიკულად უნდა შეფასდეს, რადგანაც ქართულ-რუსული ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება.

**ამჟამად, კი ამერიკულ წყაროს უნდა მივმართოთ იმის გასარკვევად, თუ რა შინაარსისაა ის ძირითადი დოკუმენტი, რომელსაც უკავშირდება საქართველოს იმედები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართებით.**

ამ საკითხებს ეძღვნება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ეროვნული კომიტეტის და კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტის დევიდ ფილიპსის 2011 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული კვლევა, საქართველო-რუსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებაზე.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის ეროვნული კომიტეტი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესწავლის ავტორიტეტული, ზეპარტიული, ინტელექტუალური ცენტრია. მის რეკომენდაციებსა და ანალიტიკურ მიმოხილვებს აშშ-ს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები გულდასმით ითვალისწინებენ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას.

კვლევის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ექვსპუნქტიან შეთანხმებას ეხება, დაფიქსირებულია, რომ:



**„საქართველომ (მას კვლევის ავტორი „ეგრეთ წოდებულ“ დემოკრატიის დეფიციტის მქონე ქვეყნად მოიხსენიებს) ცალმხრივად გამოაცხადა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 11 აგვისტოს. მეორე დღეს სარკოზიმ, ევროკავშირის სახელით, მედვედევს წარუდგინა სამშვიდობო გეგმა. შეთავაზება შეიცავდა ოთხ პრინციპს:**

**საომარი მოქმედებების გაგრძელების შეწყვეტა;**

**უარი ძალის გამოყენებაზე;**

**ჰუმანიტარული დახმარების განმხორციელებელთა დაშვების ხელმისაწვდომობა;**

**საქართველოს და რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა კონფლიქტამდელ პოზიციებზე;**

**რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით, დოკუმენტის პროექტიდან ამოღებულ იქნა მითითება „საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემაზე“, ისევე როგორც, გაეროს ან ევროკავშირის საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა განთავსებაზე (კონფლიქტის ზონებში). სარკოზიმ დაარწმუნა მედვედევი, მიეღო ცეცხლის შეწყვეტის პირობები და 12 აგვისტოს თბილისში ჩავიდა. შეთანხმება შეიცავდა მედვედევის მოთხოვნებს, რათა „რუს მშვიდობისმყოფელებს განეხორციელებინათ დამატებითი უსაფრთხოების ზომები, ვიდრე არ ამუშავდებოდა მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმი (მე-5 პუნქტი), და დისკუსიების გამართვაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „მომავალი სტატუსის “შესახებ (მე-6 პუნქტი)“.**

**„სააკაშვილმა მკვეთრად უარყო მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება. იგი ჩიოდა, რომ ეს რუსეთს უსასრულო ოკუპაციის ნებართვას აძლევდა. სააკაშვილის პროტესტის მიუხედავად მე-5 პუნქტი უცვლელი დარჩა. მე-6 პუნქტი შეცვლილ იქნა და მოუწოდებდა „სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის უსაფრთხოების და სტაბილურობის პირობებზე საერთაშორისო განხილვების დაწყებისკენ“.**

„რაისი სარკოზის 13 აგვისტოს შეხვდა. მათ შეადგინეს დამატებითი წერილის პროექტი, რომელშიც განმარტებული იყო შეთანხმების მე-5 პუნქტი. შემდეგ, რაისი ამ წერილით თბილისში გამოემგზავრა. წერილში მითითებული იყო, რომ „დამატებითი უსაფრთხოების ზომები შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ სამხრეთ ოსეთის უშუალო სიახლოვეს, რათა (უსაფრთხოების ზონებიდან) ამორიცხულიყო საქართველოს ნებისმიერ სხვა ტერიტორია“.

**„სააკაშვილმა იგრძნო, რომ მას არჩევანი აღარ ჰქონდა და 15 აგვისტოს ხელი მოაწერა შეთანხმებას. რუსეთის ჯარები საათის სავალზე იყვნენ თბილისიდან და მისი საჰაერო ძალები აკონტროლებდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეს. შეთანმხმებამ საშუალება მისცა საქართველოს თავიდან აერიდებინა უარესი — რუსეთის თავდასხმა თბილისზე, მის მიერ საქართველოს ოკუპაცია და სააკაშვილის დაპატიმრება“.**

**„არ არსებობს ქაღალდის ერთი ფურცელიც კი, რომელზეც იქნებოდა დაფიქსირებული ორივეს, მედვედევის და სააკაშვილის ხელმოწერები.** არსებობს ერთი დოკუმენტი ფრანგულ ენაზე, რომელიც ხელმოწერილია მედვედევის და სარკოზის, როგორც „მოწმეების მიერ“. (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთა ხელმოწერები ამ დოკუმენტზე შემდგომ შესრულდა). არსებობს სხვა დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია სააკაშვილისა და სარკოზის მიერ. ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად მსგავსი, მაგრამ მთლიანობაში ერთი და იგივე არ არიან. რუსულ ენაზე ნათარგმნ დოკუმენტში დაფიქსირებულია **„აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოება“,** მაშინ როდესაც ფრანგულენოვანი ვერსია, რომელსაც სააკაშვილმა მოაწერა ხელი, ეხება **„უსაფრთხოებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“**. პირველი გულისხმობს გარე საფრთხეებისგან (ე.ი საქართველოსგან) დაცვას, მაშინ როდესაც მეორე გულისხმობს, რომ საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს შიგნიდან“.

აღნიშნულ ფრაზებს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომლის თაობაზეც არსებობს მესამე, ინგლისური ვერსია. მესამე ვერსიის მიხედვით ტექსტში დაფიქსირებულია **„უსაფრთხოების და სტაბილურობის ზომების შესახებ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის“**. ამ ვერსიას ამყარებს ფრანგული საინფორმაციო სააგენტო „RFI“-ის მიერ 2008 წლის 16 აგვისტოს გამოქვეყნებული ამ დოკუმენტის ინგლისურენოვანი ტექსტი, რომელიც ზემოხსენებული ინგლისური ტექსტის იდენტურია.

2009 წლის 13 აგვისტოს, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ **„თბილისი იმთავითვე ამტკიცებდა, რომ დოკუმენტი, სახელწოდებით სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი გეგმა ბუნებაში არ არსებობს“.**

შემდეგ, ამავე წყაროს მიერ მოყავს საქართველოს პარლამენტის იმდროინდელი თავმჯდომარის, ბაქრაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ „არსებობს ორი დოკუმენტი: საფრანგეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ხელმოწერებით და საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების ხელმოწერებით. ცეცხლის შეწყვეტის შეთანმხების მხარეები არიან საქართველო და რუსეთი, შუამავალი არის საფრანგეთი“.

ამასთან, სტატიაში დაფიქსირებულია ამიერკავკასიაში ევროკავშირის იმდროინდელი წარმომადგენლის პიტერ სემნების სიტყვები, რომელიც ადასტურებდა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თაობაზე ორი დოკუმენტის არსებობას. მისი განცხადებით „ამ ორ დოკუმენტს საერთო შეთანხმება აერთიანებს“.

ყოველმხრივი, უშედეგო კვლევის შედეგად, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტმა სრულიად ლოგიკურად დაასკვნა, რომ **„დოკუმენტების წაკითხვა, რომელთაც პრეზიდენტების ხელმოწერები ახლავს, პრაქტიკულად შეუძლებელია“.**

საგულისხმოა, რომ ზემოთ მოყვანილი, ბატონ ფილიპსის კვლევის, ხელშეკრულებისადმი მიძღვნილი ნაწილის ბოლოს, აღნიშნულია: **„მედვედევი მიესალმა შეთანხმებას. მან განაცხადა, „რომ რუსეთის ოპერაციის მიზანი — ქართული მხარის იძულება მშვიდობისთვის, მიღწეულ იქნა** — აგრესორი დაისაჯა. **თავის მხრივ საქართველო მიესალმა იმას, რომ შეთანხმებამ ნათლად განსაზღვრა რუსეთი და საქართველო როგორც კონფლიქტის მხარეები“.**

**სავარაუდოა, რომ კმაყოფილი და ბედნიერი იყო სარკოზი,** რომელმაც უზრუნველყო ოკუპანტებსა და დაპყრობილ, კურდღლის მიერ მართულ, საქართველოს შორის ზავი, რის შედეგადაც, იმავე კურდღლისგან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ცოცხალი სიმბოლოს სტატუსი მიენიჭა. ბედნიერი იყო ასევე საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პარლამენტის წინ, დამარცხებულ ომში გამარჯვებას ზეიმობდა ტაშ-ფანდურის და „სარკო-სარკოს“ შეძახილებით, დღეს კი აღარც ცხინვალის რეგიონი და არც აფხაზეთი ახსოვს.

**ბედნიერი ერის ამ შვილთაგან განსხვავებით, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რეალურად შესტკივათ გული სამშობლოს წართმეულ ტერიტორიებზე და ნამდვილად აინტერესებთ პასუხი კითხვაზე - არსებობს თუ არა, და — რა სახით, ზემოხსენებული ხელშეკრულება.**

ამ დოკუმენტის გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ, რაზე და რა სტატუსით მოაწერა ხელი და შესაბამისად მოიპოვა უფლებები და იკისრა მოვალეობები. დღეს არსებული მდგომარეობით, შეუძლებელია ამის დადგენა, ვინაიდან რუსეთი კატეგორიულად უარყოფს ხელშეკრულების მხარედ ყოფნას. სარკოზი ამ პროცესში მონაწილეობდა როგორც ევროკოვაშირის თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაური, რომელიც შუამავალის სტატუსით მოქმედებდა ევროკავშირის სახელით. ავტორიტეტული ამერიკული სტრატეგიული კვლევის ცენტრში, სარკოზის და მედვედევს „მოწმეებად“ მოიხსენიებენ.

**ეჭვგარეშეა, რომ ფაქტობრივად რუსეთია ყოველივე ზემოხსნებულის უშუალო მონაწილე, მაგრამ ამასთან წარმოიშვება იმის გარდაუვალი აუცილებლობა, რომ მკვეთრად იყოს განსაზღვრული აგვისტოს და მას შემდეგ მოვლენებთან მიმართებაში, მისი სამართლებრივი სტატუსი.**

**საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთხელ უკვე მიგვიყვანა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში სავალალო მარცხამდე.**

**სავარაუდოა, რომ ამჟამად მაინც, ინფორმაციას ხსენებული დოკუმენტის თაობაზე ფლობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჯერ კიდევ 2008 წლის 5 სექტემბერს, ეს უწყება აცხადებდა, რომ იმჟამად კონფლიქტის დამარეგულირებელი შეთანხმება არ არსებობდა.**

**თუკი ეს ასეა, დაინტერესებული პირები მოთმინებით დაელოდებიან ამ დოკუმეტის დედნის სარწმუნო ასლის გამოქვეყნებას.**

**ბესარიონ კერესელიძე**

სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს
ბ-ნ მამუკა ბახტაძეს

გიგზავნით საქმიან წერილს. ამ თემაზე გწერთ იმიტომ, რომ, როცა თქვენ ხელი მოაწერეთ 2013 წლის 16 ივლისის № 2/35 დადგენილებას, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩაფიქრებული იყო სასარგებლო რეფორმები და მირზა დოლიძე რომელიმე რანგში გააგრძელებდა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, როგორც მშობელმა, ვურჩიე აუღელვებლად მიეღო შემოთავაზება. ის ასეც მოიქცა. სამწუხაროდ, თქვენს ორგანიზაციას აღმოაჩნდა არასამართლიანი მოქმედების გეგმა. საინტერესოა, რატომ? ამან შემძრა სულიერად! ეჭვი არ მეპარება, ერთად გავერკვევით სამეურვეო საბჭოს, ეკონომიკის სამინისტროს, ახალი პრემიერის, ახალი პრეზიდენტის და ბატონ ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობით, რომლებსაც, რა თქმა უნდა, მივმართავ თანმიმდევრობის დაცვით.

**პატივისცემით,**
**ტარიელ დოლიძე**

ბათუმი, ჭავჭავაძის 78/88 ბ. 160
ტელ.: 27 62 01
მობ. ტელ.: 599 55 85 07
ელ. ფოსტა: info@geomar.ge

# ერთი განუკითხაობის ამბავი
## „გონივრული ეჭვიდან“ – „მიზანშეწონილობამდე“(?!)



მრავალი ათეული წელი გავატარე ზღვაოსნობასა და საზღვაო ბიზნესში. ჯერ კიდევ 1963 წელს გავხდი ორი ადამიანის ხელმძღვანელი, შემდეგ ოთხის, შემდეგ თხუთმეტის და საბოლოოდ – რამდენიმე ათასის. ამიტომ კარგად ვიცი თითოეული ადამიანის ფასი, თითოეული სპეციალისტის პროფესიონალამდე აღზრდის გზა. პროფესიონალისა, რომელიც შეიარაღებულია ღრმა თეორიული ცოდნით, საწარმოო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით , საქმის სიყვარულითა და პასუხიმგებლობით. თუ სერიოზულად ფიქრობ შენი ორგანიზაციისა და ქვეყნის ეკონომიკის აყვავებაზე, ასეთ პერსონებს ძებნა და ჩვენი ეკონომიკის სამსახურში ჩაყენება უნდა.

1937 წელს „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, როგორც მაშინ იყო მიღებული, დააპატიმრეს და გადაასახლეს ექვსი შვილის პატრონი ჩემი ბაბუა ერასტო დოლიძე. გარდაიცვალა გადასახლებაში (რეაბილიტირებულია 1956-57წ.). ძველების მოგონებით იყო სიტყვის კაცი, ჭკუასაკითხავი, დამრიგებელი, ითვლებოდა კარგ რკინიგზელად.

1941-45 წლების ომში ვაჟკაცურად ომობდა ჩემი მამა სიმონ დოლიძე. იყო დაჭრილი, ტყვედ ჩავარდნილი-გამოქცეული, დაჭერილი და მეორეჯერ წარმატებით გამოქცეული და დასავლეთ უკრაინაში (სტანისლავსკისა და ლვოვის ოლქები) მოქმედი ჯარის ნაწილებზე შეერთებული. მისთვის ომი 1946 წელს დამთავრდა და სახლში დაბრუნდა. აქ დაიწყო გამოძახებები, დაკითხვები, „გონივრული ეჭვები“. იძულებული გახდა, ისევ დაბრუნებულიყო დასავლეთ უკრაინაში, ჩართულიყო შინაგან ჯარებში და პრაქტიკულად ცხოვრობდა საომარ პირობებში 1949-53წ.წ.(ამ რაიონებში ძალიან აქტიურად მოქმედებდნენ ადგილობრივი ნაციონალური ბენდერას დაჯგუფებები და უწყვეტლივ ახდენდნენ დივერსიულ მოქმედებებს.) ამ წლებში აღადგინა ძველი ნაცნობობა, ნახა ძველი თანამებრძოლები და შეკრიბა ცნობები და იქ ნოტარიულად დაამოწმა. ეს ცნობები ასახავდა მის გამოჩენას იმ რაიონებში და შემდეგ მის საქმიანობას. ამ ცნობებმა, ბოლოს და ბოლოს, დააწყნარეს სიტუაცია მის გარშემო.

მე, ტარიელ დოლიძემ, ვისწავლე ბათუმის საზღვაო სასწავლებელში და შემდეგ ოდესის საზღვაო საინჟინრო ინსტიტუტში გავიარე გზა რიგითი მეზღვაურიდან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მთავარ ინჟინრამდე. სანაოსნო იყო უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა საკუთარი სატრანსპორტო გემების ფლოტს (ტანკერები, მშრალი ტვირთების გემები) და ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებს თავიანთი მრავალრიცხოვანი პორტოპუნქტებით. ჩვენი სანაოსნო იყო წარმატებული საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროში. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ სამი წელი ზედიზედ ყველა სხვა სანაოსნოს მოვუგეთ საწარმოო-ეკონომიკურ ყველა მაჩვენებელში (ტვირთბრუნვა, მოგება, ვალუტის შემოსავლის ზრდა, საწვავის ეკონომია, რენტაბელურობა, დაბალი ავარიულობა, სანიმუშო დისციპლინა და სხვა. ამის შემდეგად და საკავშირო საზღვაო ფლოტის გარდამავალი დროშა მოვიპოვეთ. იგი სამუდამოდ დარჩა ბათუმის სანაოსნოში.

და ამის შემდეგ, მოულოდნელად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე „სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის ჩაშლისთვის“ გამათავისუფლეს თანამდებობიდან, გაათავისუფლეს უფროსიც და ასევე სხვა მოადგილეებიც. ჩვენი პროტესტის შემდეგ წამოვიდა სატელეფონო მუქარები. იმ დროს მუქარის შესრულება იმდრონდელი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. ამის შემდეგ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს „ეშმაკები“ შეესივნენ და ძალიან მოკლე დროში გაიყიდა ცალკე გემები, ცალკე ნავსადგურები. სანაოსნომ შეწყვიტა არსებობა, ხალხი დარჩა უმუშევარი, მეზღვაურების ნაწილმა უშველა თავს და უცხოელ გემთმფლობელებს მიაშურა. საინტერესო და სამწუხაროა, რომ არც მაშინ და არც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არავის მოუკითხავს ამხელა სახელმწიფო სიმდიდრის გაქრობის ამბავი. აი ტიპური გამოვლინება საკუთარი ხალხის წინაშე მთავრობათა უპასუხისმგებლობისა.

**ვფიქრობდი, რომ ზემოაღწერილი სიმახინჯეები ისტორიას ჩაბარდა და აღარ განმეორდებოდა. სამწუხაროდ, „უწესო თამაშები“ გრძელდება. ჩემმა შვილმა მირზა დოლიძემ 1993 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №22 საშუალო სკოლა. ეს იმ პერიოდში, როცა ქვეყანაში ჩამოინგრა განათლების სისტემა, და არა მხოლოდ განათლების. რადგანაც ინგლისური ენის ცოდნა უწყობდა ხელს, სწავლა გააგრძელა ქ.ათენში (საბერძნეთი) ამერიკულ უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. აღნიშნული უნივერსიტეტი წარმატებულად დაამთავრა ბაკალავრის ხარისხით და სამი უცხო ენის: ინგლისურის, რუსულის, ბერძნულის ფლობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე გარკვეული პერიოდი იმუშავა საზღვაო სფეროში, ასევე სამშენებლო მასალების წარმოება-რეალიზაციის კომპანიაში. როცა წინადადება მიიღო მაღალანაზღაურებადი სამუშაო კონტრაქტის გაფორმებაზე, რჩევა მკითხა. ვურჩიე, ჩამოსულიყო თავის ქვეყანაში და აქ გამოეყენებინა თავისი განათლება, ცოდნა და ენერგია. ასეც მოიქცა. იმუშავა ბათუმში, ფოთში, რუსთავში, თბილისში (ტვირთების ინსპექციაზე, ტვირთების ექსპედირებაზე, გემთმშენებლობაში, კომერციულ ბანკში, მეტალურგიულ ქარხანაში, საერთაშორისო აუდიტში). ისურვა თავისი ცოდნის ამაღლება: გააგზავნა აპლიკაცია და ჩაირიცხა ნიდერლანდების ერაზმუსის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში, საზღვაო ეკონომიკისა და ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამაში. მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მიიღო მონაწილეობა საქართველოს რკინიგზის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაიწყო მუშაობა შვილეულ კომპანია „ტრანსკონტეინერში“. გარკვეული პერიოდის შემდეგ დაწინაურდა და დაინიშნა ამ კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. მემკვიდრეობა არასახარბიელო დახვდა, მაგრამ, მიუხედავად სირთულეებისა, მოხერხდა ცუდ მდგომარეობაში მყოფი კომპანიის ფეხზე წამოყენება და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება. რთული იყო განვლილი პერიოდი იმით, რომ გახლდათ პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდი – 1 წელი და არჩევნების შემდეგ – დაახლოებით 9 თვე), ამ დროს, როცა კომპანია იწყებს ფეხზე წამოდგომასა და წინსვლას, იბადება № 2/35 დადგენილება, 2013 წლის ივლისში, რომელიც ამბობს, რომ მირზა დოლიძე „მიზანშეწონილია გათავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან და ერთი თვით გაუგრძელდეს შრომითი ურთიერთობა“. ერთ თვეს მოჰყვა კიდევ ერთი თვე და შემდეგ დადგა გაურკვევლობა, რომელზეც ვერავინ პასუხობს. ორგანიზაციაში ხდება გადაადგილებები, თანამდებობის დაკავება ყოველგვარი კონკურსის გარეშე, ოღონდ მირზა დოლიძეს ჯერჯერობით არ სთავაზობენ არაფერს.**

გავიმეორებ, 36 წლის ახალგაზრდა კაცი არის ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი, ქრისტიანი, უმაღლესი განათლებით, ფლობს ოთხ ენას, არ არის ლოთი! შფოთი, ნარკომანი, მიშისტი! არის კონტაქტური და მეგობრული, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე... გთხოვთ, მითხრათ, კიდევ რა მოეთხოვება ადამიანს, რომ თანამდებობიდან და სამსახურიდან არ გაათავისუფლონ?!

ამ კითხვაზე მინდა, პასუხი ვთხოვო საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ბახტაძეს, რადგანაც ზემოაღნიშნულ ბრძანებას მან მოაწერეთ ხელი. თქვენ შეყვანილი ხართ გაუგებარ შეცდომაში. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ერთ-ერთ თქვენს დირექტორს არც კი დაუსაბუთეთ გათავისუფლების მიზეზი, არც სხვა შესთავაზეთ, ისე გაწყვიტეთ მასთან კომუნიკაცია. ასე იქცეოდნენ ხელისუფლებაში მყოფი ნაცები. მეეჭვება, რომ თქვენს ორგანიზაციაში მაგათი ხალხია ჩანერგილი და ეწევიან ბინძურ მოქმედებას?

ბატონო მამუკა, თქვენი ორგანიზაცია დიდია და მნიშვნელოვანი საქართველოს ეკონომიკისათვის. მაგრამ ეკონომიკას ქმნიან განათლებული და საქმის ერთგული ადამიანები. არ მინდა, თქვენს ხელმძღვანელ კადრებს მე მივცე შეფასებები, მაგრამ უტყუარად ვიტყვი, რომ ისეთები, როგორიც მირზა დოლიძეა, თქვენ ჭარბად არ გყავთ, თქვენ მას არა სწორად ექცევით. ეს რკინიგზა, ეს ტერმინალები, ეს ქვეყანა ერთნაირად გვეკუთვნის თქვენც, მასაც და მეც, მთელ საქართველოს.

კითხვაზე უპასუხობის შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას, მივწერო საქართველოს რკინიგზის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ კ. გუნცაძეს, ან ეკონომიკის მინისტრს ბ-ნ გ. კვირიკაშვილს, ან პრეზიდენტს ბ-ნ გ. მარგველაშვილს, ან ახალ პრემიერს ბ-ნ ი. ღარიბაშვილს.

არაერთი ათეული წელია, ვკითხულობ და ვარ ხელისმომწერი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“, ამიტომ, ვფიქრობ, შემიძლია, ვისარგებლო ღია წერილის ფორმით...

**პატივისცემით,**
**ტარიელ დოლიძე**

**რედაქციისგან:**

**ამ წერილში, რომლის ავტორისეული სტილი დაცულია, დიდი ადამიანური დამაჯერებლობით არის მოთხრობილი ერთი ქართული ოჯახის ჭირ-ვარამი. მიგვაჩნია, რომ ბატონი ტარიელ დოლიძე სამართლიანად მოითხოვს პასუხს საკუთარი შვილის სამსახურიდან უსაფუძვლო განთავისუფლების გამო.**

**იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს თავკაცი მამუკა ბახტაძე გულისყურით მოეკიდება ამ ღია წერილს.**



# ვინც ჭიად იქცა...

## ანუ, გაუვიდა ყავლი თქვენს ვირეშმაკობებს, ნაცებო!

**ჩემს** ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ კანონობდა ვაჟკაცობის დაუწერელი კოდექსი (ისე, მამაჩემის თაობის ხალხისგან ხშირად მსმენია) — წაქცეულს არ ურტყამენო. ჩვენც ვიცავდით ამ წესსა და ადათს. ამაში გამოიხატებოდა სულგრძელობა, მიმტევებლობა და თქვენ წარმოიდგინეთ, კაცთმოყვარეობაც კი. გაშლიდნენ მკლავს ვერისუბნელები, მთაწმინდელები, ნაძალადევ-ჩუღურეთელები, მტკვრის გაღმა-გამოღმელები, მუშტის ძალას მოსინჯავდნენ და გულში ბოღმას არ ჩაიდებდნენ. შემდეგ მიდიოდა შერიგება-შემორიგების პურ-მარილი. იშვიათად, თითქმის არც მსმენია, მთელი ცხოვრება უმძრახად რომ დარჩენილიყვნენ. ეს იყო კაცობის კოდექსი, ახალგამოჩეკილმა დემოკრატებმა რომ სასაცილოდ აიგდეს და „ქუჩის კანონები“ დაარქვეს. ქუჩისა იყო, რადგან იმგვარი ვაჟკაცები ოჯახში იზრდებოდნენ და თავიანთი კაიკაცობა და ოჯახიშვილობა ქუჩაში გამოჰქონდათ, მიშიკოსა და ნაცების უმეტესობასავით სახლში შეკეტილები სტრესულ მდგომარეობაში არ იზრდებოდნენ, რამაც აგერ ახლა იჩინა თავი მათ მიერ ცხრა წლის სიგრძეზე ჩადენილ უკაცურობასა და ბოროტებაში. ეს არცთუ ისე მცირე შესავალი-გახსენება იმათთვის მოვიტანე, ახალმა თაობამ რომ გაიგოს როგორ იზრდებოდნენ, რა კაცურ მადლს იყვნენ ნაზიარები მათი წინაპრები და ერთი ხელის მოსმით ყოველივე დასავლურის გათავისება და შენი წარსულის დავიწყება გადაგვარების ტოლფასი რომაა. კიდევ იმისთვის გადავინაცვლე ჩემი სიყმაწვილის XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების თბილისში, რომ ჩემს თავთან ფიცი დავდე, რაც აქამომდის მიგინებ-მილანძღია გარეწარი ნაცბანდა, ახლა, როცა წაქცეულნი არიან, აღარ ღირს მათზე ხელის აწევა, ანუ კალმის შეწუხება-მეთქი, მაგრამ რომ აღარ ისვენებენ ეს სულძაღლები?!

ერთსაც მოვიგონებ იმდროინდელი თბილისური ცხოვრებიდან, სახუმარსიტყვო ლეგენდად რომ შემორჩა: **„წაქცეულს ხელი როგორ დაარტყიო“** — უთქვამს ერთი კარგი ყოჩი ბიჭისთვის. მასაც უცებ მიუგია — **წაქცეულს, თორემ შენ წამიქციეო**. ეტყობა ისე გაამწარა, მცირედით გადაუხვია დაუწერელ კანონს „ქუჩური ჩხუბისას“ და წაქცეულს კიდევ ერთხელ წაუჭიტლაყა,. დღევანდელი ტერმინით „კანტროლკა“ გაუკეთა. ამიტომ მეპატიება დღევანდელი პატარა წამოლანძღვა იმ ნაძირლებისა, რომელთა წაქცევა-გაქცევაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის, ისევე როგორც შენ, ჩემო მკითხველო, რადგანაც ვიცი ყველა, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობს (ისევე როგორც მიშისტებისაგან ანათემაგადაცემულ კიდევ რამდენიმე ჩემს საყვარელ გაზეთს) ყველა ჩემიანია.

მოკლედ სამშაბათ დილის გაწევ-გამოწევაზე მინდა ორიოდ ჭიტლაყი ამოვკრა ჩემსა და თქვენს მიერ წაქცეულ ნაცებს, დავარღვიო ის ქუჩური ტრადიცია და ამ მატრაბაზებს მკითხავი მაროს ბანქოსავით გავუშალო თავიანთი ვირეშმაკობები. შეიკრიბნენ „ქუთაისის პარლამენტში“ ნაცბანდელები (გინდა ნეოფაშისტები, გინდა ფაშისტები და გინდა ეშმაკსსულმიყიდულნი), შეიკრიბნენ, რათა თავიანთი ჯერ კიდევ შემორჩენილ ოკეანისგაღმელ-გამოღმელ ლობისტებისთვის ეჩვენებინათ — ხედავთ როგორი დემოკრატები ვართ, წინასწარ უნდა ავწონ-დავწონოთ ღირს კი მთავრობაში ამ ხალხის მოყვანაო. მოკლედ, სამთავრობოდ გამწესებულნი მგლის ხახაში ჩაცვივდნენ. მგლებს რას ვერჩით, უფრო შემოდგომის ნეხვის ბუზებივით მწარედ რომ იკბინებიან მათი „საკბილონი“ გახდნენ. შეიკრიბნენ ჩიორა-შოშიები, აკუგაკუები და ძმანი მათნი. ყველა სიტყვა აუწონეს ჯერ კიდევ ყველაზე ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელ გაპრემიერებულს და იმის ნაცვლად, რომ ერთად ემსჯელათ (როგორც მართლა სამშობლოს კეთილდღეობისთვის ღამენათევ და ნაფიქრალ ადამიანებს შეჰფერით), როგორ გადავარჩინოთ ქვეყანა და ხალხიო, კბენა-კბენით, ქილიკითა და ნიშნისმოგებით დაუწყეს თითებზე ჩამოთვლა ერთ წელიწადში ეს რატომ არ გაკეთდა და ის რატომ დაიჭირეთო. აღშფოთდა ვაჟკაცი ღარიბაშვილი და კახურად, ანუ ქართულად, ანუ მართლაც ვაჟკაცურად არც იმათ ლობისტებსა და დემოკრატიით დამმუნათებელთ დაერიდა, არც წესსა და სამართალს, არც უდანაშაულობის პრეზუმციას და თბილისელები, რომ იტყვიან, სულ „ბიჩოკ-ბიჩოკ“ დაუთვალა მათი არაკაცობები.

ნაცები? ნაცებმა კი საწადელს მიაღწიეს, აი წყობილებიდან გამოვიყვანეთო და (ეკრანზეც კარგად ჩანდა, რა კმაყოფილი ღიმილით უყურებდნენ ერთმანეთს ჩვეული დეფორმირებული სახეებით) „რუსთავი-2“-ის ეთერში ერთმანეთს არ აცლიდნენ გესლნარევი ინტერვიუების დარიგებას. **„ხედავთ, არავითარი პროგრამა არ გააჩნიათო“, „არავითარ დემოკრატიას ამათგან არ უნდა ველოდოთო“** და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მოკლედ საწადელს მიაღწიეს. მათმა წკავწკავმა შედეგი გამოიღო. ახლა ნახეთ უცხოეთში გადახვეწილი მთავარი ფაშისტის ხელების ქნევა და დაქადნება.

განსაკუთრებით გია ბარამიძე აქტიურობდა. როდესაც შეხვედრა კამათში გადაიზარდა მათმა სუფლიორმა (ისე არც სჭირდებათ სუფლიორ-რეჟისორები ისე არიან დახელოვნებულნი პროვოკაციებში) ან ტელეპატმა მიშამ, ანდაც ქანდარაზე შემომჯდარმა შეხვედრის დირიჟორმა გოკამ აღნიშნა, რომ **აბა, ახლა შენი რიგია, აქამდე ქაჯანასავით რომ იჯექი პარლამენტში, ახლა დაჭერას გიპირებენ და შიშისგან მაინც ამოიდგი ენაო** და მოაღო ბარამიძემაც პირი — **„თქვენ იმყოფებით პარლამენტში და არა ბალაგანშიო“**. არც მინაშვილი ჩამორჩენია თავის ძმასა და მეგობარს და არც თარგამაძე. ღმერთო დიდებულო, ზღვარი არა აქვს თქვენს სასწაულებს — ამ ენაბლუმაც ამოიღო ხმა და ისე აჭიკჭიკდა, ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ისე შიშს დიდი თვალები აქვს და პირსაც ფართოდ აღებინებს ადამიანს, რაგინდ კრიჭაშეკრულიც არ უნდა იყო.

სხვამ არ ვიცი, მაგრამ ნაცებიდან ორი კურდღლის დაჭერა მხოლოდ ბარამიძემ შეძლო, ორის კი არა სამის (ბოდიში მკითხველს და ამ სამში გრძელი... კურდღლიდან სულ მალე ერთს დაიჭერს). ახლა ამ სამ კურდღელზე მოგითხრობთ და მოვრჩები წაქცეული ვირეშმაკებისთვის ჭიტლაყების რტყმას.

**კურდღელი პირველი — ბატონ ბარამიძეს აინტერესებდა, კოჰაბიტაცია მართლა დასრულდა თუ წინასაარჩევნო პიარი იყო. თავისი ზემოთ ხსენებული რეპლიკით და პრემიერის გაბრაზებით დაამტკიცა და თავის თანამოძმეებსაც გააგებინა, რომ კოჰაბიტაცია დასრულდა.**

**კურდღელი მეორე — მიაღწია იმას, რომ აალაპარაკებს უცხოელ ლობისტებსა და დემოკრატიის მანტიაში გახვეულ მფარველებს, საქართველოში პოლიტიკურად მოუმზადებელი და რევანშისტი ხელისუფლება მოდისო.**

**კურდღელი მესამე — ძალიან კარგად უწყოდა ბარამიძემ, რომ არავინ შეარჩენდა აფრასიძეთა ოჯახის ამოწყვეტას არც მასა და არც ნულოვანი ტოლერანტობის გამომცხადებელ-დამკანონებელ მიშას. თვითონ კი უარობდა, მაგრამ მიშამ ხომ ტელევიზიით არაერთხელ განაცხადა ხმამაღლა, უნებლიედ თავისი დანაშაული. იცოდა რომ ვირის აბანოში მოუწევდა ჯდომა და გაითამაშა — აი ხმამაღლა, რომ შევეკამათე პრემიერს და თითი დავუქნიე, იმის გულისთვის მიჭერს. ხომ ხედავთ დამემუქრა კიდეცო** (ეს დამუქრება კი სულ მცირე ერთი ათჯერ მაინც გაიმეორა ნაცების ტელევიზიამ).

ეს ის სამში ყველაზე გრძელი კურდღელია, რომელიც ბიჭმა დაიჭირა.

ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გათვლილი ვირეშმაკებს. ახლა ატყდება ერთი ამბავი პოლიტიკური ოპონენტი იყო და იმიტომ დააჭერინა, რომ ხედავთ ბოღმიანები გვყავანო.

ძვირფასო მკითხველო, ჩავედით ბოლოში და ვინმეს მართლა სჯერა, რომ ჯერ კიდევ აფრასიძეების გადამწვარი სახლის ეზოში ნაჭამი კუბდარის ცხიმშეუშრობელი ბარამიძე კრიმინალი არაა? „გალლეტილი“ ვანო მერაბიშვილი დამნაშავე არაა? ვინმეს გჯერათ, რომ ბაჩო ახალაია მამა აბრამის ბატკანია? თუ ნაცების გარდა (არადა მათ ყველაზე მეტად არ სჯერათ, უბრალოდ უნდათ რომ სხვებს დააჯერონ) ვინმეს თუ სჯერა, ბოდიშს მოვიხდი სახალხოდ ამ პატარა ჭიტლაყისათვის, რომელიც გადაგვარებულ ნაცბანდას ამოვკარი. უფრო სწორედ მაიძულეს, რომ ამომეკრა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ სხვისგან წაქცეულისთვის არ ამომირტყავს და ქუჩის დაუწერელი კანონი არ დამირღვევია, რადგან მათ წაქცევაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის.

ამ ჭიტლაყს, ბატონო ვირეშმაკებო, გინდ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა უწოდეთ, რაც ყოველ წუთს გაკერიათ პირზე და გინდ გაბრაზებული კაცის ნათქვამი.

**მამუკა ვაშაკიძე.**

**P. S. მართალია თქვენსავით უცხოეთში ორთვიანი კურსები არ გამივლია და ტვინი არ დამიბინძურებია ბევრი ისეთი საშინელებით, რაც თქვენ იქ შეისწავლეთ. არც ჩემი ცოდნა-განათლებით მიტრაბახია (ნუ გგონიათ, იმის შიშით, რომ მედოლე ხაჩიძე დიპლომს მომთხოვს და რა ვაჩვენო-მეთქი) მაგრამ ერთი-ორი წიგნი წამიკითხავს. ერთი დიდი გერმანელი. კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ემანუილ კანტის ფილოსოფიური ნაშრომია, სადაც ამოვიკითხე და დღემდე მახსოვს (თან ჩემი საყვარელი ფრაზაა), „ვინც ჭიად იქცა, უფლებაც არა აქვს დაიჩივლოს, რატომ გამჭყლიტეთო“. დიდი კაცი იყო კანტი, განა ჭიას არა აქვს უფლება, არამედ ჭიადქცეულსო. ასე რომ, ნაძირალა ნაცბანდელებო, არავინ დაგიპირებდათ გაჭყლეტვას, ჭიად რომ არ ქცეულიყავით, თანაც ნეხვის ჭიად. ასე რომ მირჯიყვნას, გაჭყლეტვა და ის მცირე მიჭიტლაყება გერჩიოთ, თორემ თქვენი თვალითაც ნახეთ, რა გაცხარება სცოდნია მომავალ პრემიერს.**

**მ. ვ.**

◉ ძველი და ახალი...

# დანაშაულია, თუ თანხები „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის პიარისთვის იხარჯებოდა

**— ლობისტური კამპანიისთვის ბიუჯეტის ფულის ხარჯვის გამო გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს. იმისთვის კი არა რომ ვინმე დაისაჯოს. შესაძლოა, არავინ არ დაისაჯოს, მაგრამ საქმე უნდა გამოამზეურონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამგვარი დანაშაული სხვა სახელისუფლებო პარტიებმაც ჩაიდინონ,** — განუცხადა for.ge-ს პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.

მისი თქმით, უნდა გაირკვეს რისთვის იხარჯებოდა საბიუჯეტო თანხები — ქვეყნის იმიჯისთვის, თუ ერთი კონკრეტული პარტიისა და მისი ლიდერის პიარისათვის. საყვარელიძის თქმით, თუ საბიუჯეტო რესურსი „ნაცმოძრაობისთვის“ იხარჯებოდა, მაშინ ეს დანაშაულია.

**— დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ეს არის ჟურნალისტების გემოვნების საკითხი თუ პოლიტიკური პარტიების მიერ დაქირავებული ლობისტური ჯგუფების მუშაობის შედეგი?**

— ორივე შეიძლება იყოს, თუმცა ლობისტური კამპანია უფრო მუშაობს.

„ნაცმოძრაობა“ იმით განსხვადება მისი წინამორბედი სახელისუფლებო პარტიებისგან, რომ მან შეინარჩუნა სტრუქტურული მთლიანობა. მან შეინარჩუნა ყველა ის გავლენა, რაც პარტიას ჰქონდა. ბუნებრივია „ნაცმოძრაობამ“ ლობისტური გავლენაც შეინარჩუნა.

**— საქართველოს პრეზიდენტი თბილისში ხელისუფლებას არაპოპულარული და დაუფასებელი ტოვებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისტორია უფრო კეთილი შემფასებელი იქნება. სააკაშვილმა ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მთავარი რაღაცები სწორად გააკეთა. სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, როგორც საქართველოს ჯორჯ ვაშინგტონი, რადგან მან უხელმძღვანელა დემოკრატიაში გადასვლას რეგიონში, სადაც არჩეული ლიდერები ძალიან ხშირად ხდებიან დიქტატორები, — ვკითხულობთ გავლენიან ამერიკულ გამოცემა „უოლ სტრიტ ჯორნალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში... როგორია თქვენი შეფასება ეს სტატია ლობისტების მუშაობის შედეგად დაიბეჭდა?**

— სტატია უფრო ლობისტების ნამუშევარს ჰგავს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ჟურნალისტის ნამუშევარიც იყოს. საქართველოში ვსაუბრობთ ხოლმე ჟურნალისტების დილეტანტობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არაა. შესაძლოა, მათ არ იციან თუნდაც საქართველოს შიდა დემოკრატიის დონე. ვინაიდან ფაქტები არ გვაქვს ვერაფერს ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ სტატიის ჟღერადობა აშკარად ლობისტების ნამუშევარს ჰგავს.

იხ. 6 გვ.

მოსახლეობის აღწერა

# მაინც რამდენნი და როგორები ვართ?

**ბევრჯერ სხვისგან გვსმენია და ხშირად თავადაც გვითქვამს — ცოტანი ვართ ქართველები, ამიტომაც ერთმანეთის გაცილებით მეტად მოფერება, შემწყნარებლობა გვმართებს, ჩვენ კი დაუნდობლად ვექიშპებით და ვკორტნით ერთი მეორესო. ეს კია სრული ჭეშმარიტება, მაგრამ, ნამდვილად საინტერესოა: მაინც რამდენნი ვართ, ჩვენ, ქართველები, რამდენი კაცი ცხოვრობს მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და რა რჯულისა და ეროვნებისაა ეს ხალხი? დაგვეთანხმებით, რომ ეს მართლაც საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ქვეყნის მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობის ცოდნას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სახელმწიფოებრიობის ბედისთვის, რაშიც თვალნათლივ დაგვარწმუნა ბოლო წლებში რამდენიმე დონის, მათ შორის, ადგილობრივმა, პარლამენტის თუ პრეზიდენტის არჩევნებმა, ასევე ეკონომიკური განვითარებისთვის, თავდაცვითი ღონისძიების გატარებისთვის და კიდევ მრავალი სხვა ასპექტისთვის. ამდენად, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ქვეყანაში რეგულარულად რომ უნდა ტარდებოდეს, ეჭვგარეშეა, თუმცა კი მიზეზთა გამო ამის დადგენილ ვადებში განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგალითად, ბოლო საყოველთაო აღწერა საქართველოში ჯერ კიდევ 2002 წელს ჩატარდა, მორიგი 2010 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ... საქმე იმდენად გართულდა, რომ 2011 წელს გაეროს მოხსენებაში საქართველო იმ ქვეყნების „შავ სიაში" ისეთ ქვეყნებთან (მათ შორის, სომალისთან, ერაყთან, უზბეკეთთან, სხვებთან) ერთად მოხვდა, რომლებიც წლების მანძილზე მოსახლეობის საყოველთაო აღწერას ჯიუტად არ ატარებენ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და საქართველოში საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად მოსამზადებელი, საცდელი სამუშაოების განხორციელება ნოემბერში დაიწყო.**

**2002 წლის იანვრის მონაცემებით (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე) საქართველოში 4 მილიონ 371 ათასი კაცი ცხოვრობდა, მათ შორის, 84 პროცენტი ქართველი, 6 პროცენტი — აზერბაიჯანელი 5,5 პროცენტი — სომეხი, 1,5 პროცენტი — რუსი, 2 პროცენტი კი სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი.**

მომავალი აღწერა გაისად, 14 ივლისს დაიწყება დასავლეთ საქართველოში, ორი დღის მოგვიანებით კი იგი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილსაც მოიცავს (16-30 ივლისი). აღწერის პროგრამა 2013 წლის აპრილში ეროვნულმა საკოორდინაციო სამთავრობო კომისიამ დაამტკიცა, რომლის ხელმძღვანელია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ხოლო თავად კამპანიის ბიუჯეტი 18 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. აღწერის ძირითადი ეტაპის ჩატარება 2014 წლის 5-19 ნოემბერსაა დაგეგმილი, რომელშიც მონაწილეობას საგანგებოდ მომზადებული 15-დან 18 ათასამდე კაცი მიიღებს და თავისი მასშტაბით, კერძოდ, მოსახლეობის მოცვის მხრივ, ყველაზე მასობრივი ღონისძიება იქნება, რადგან აღმრიცხველები ყველა ოჯახს ეწვევიან და საკმაოდ ვრცელ კითხვარს შეავსებენ. **თავად კითხვები იმავე გაეროს რეკომენდაციების გათვალისწინებითაა შემუშავებული და ისეთ დემოგრაფიულ მონაცემებს შეეხება, როგორებიცაა სქესი, ასაკი, ეროვნება, მოქალაქეობა, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, აღმსარებლობა, ოჯახური მდგომარეობა, შვილების რაოდენობა, განათლება, პროფესია. ასევე იქნება ეკონომიკური ხასიათის კითხვები, ვთქვათ, შემოსავლის ძირითადი და დამატებითი წყაროების, ასევე დასაქმების ხასიათის შესახებ.**

ამასთან დაკავშირებით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოში აცხადებენ, რომ აღწერის ფურცლებში მოსახლეობის შემოსავლის ოდენობის შესახებ კითხვები გათვალისწინებული არ არის,




რადგან ხალხი ამას ერთობ მგრძნობიარედ აღიქვამს, თუმცა კი ხელთ აქვთ ანალიტიკური ტაბულები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შემოსავლის წყაროების, ასევე განათლებისა და დასაქმების მხრივ არსებული ტენდენციების გამოკვლევა. განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ ადამიანები განსაკუთრებულად აღიქვამენ აღმსარებლობის თაობაზე შეკითხვებს —არის გარკვეული კატეგორია, რომელსაც ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ არ სურს, ანდა არასწორად პასუხობს. ამდენად, ანკეტაში კითხვაზე უარის თქმის გრაფაცაა გათვალისწინებული. მსგავს რეკომენდაციას გაერო ეროვნების მითითებასთან მიმართებაშიც იძლევა. თუმცა კი, ვარაუდობენ, რომ ყველაზე მეტი სირთულე გამომკითხველებს დასაქმებასთან დაკავშირებით საკითხის გარკვევისას ელით, რადგან ეს ძალიან მტკივნეული თემაა და ბევრის გაღიზიანებას იწვევს: საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლები შემოსავლის მქონე პირმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ არ მოისურვოს და თავი უმუშევრად გამოაცხადოს, გასაკვირი, ვფიქრობთ, არ არის.

ასეთი „პრობლემური" კითხვა, სხვადასხვა შემთხვევაში, შესაძლოა, სხვაც იყოს, ამდენად, მნიშვნელოვანია მოსახლეობა მათი დანიშნულების თაობაზე სწორად იყოს ინფორმირებული. ამისთვის კი აუცილებელია გამართული სარეკლამო კამპანიის წარმოება, რომელიც მოსახლეობისთვის საყოველთაო აღწერის მნიშვნელობის შესახებ ცნობებს მარტივად და გასაგებად მიაწვდის. ამ მიზნის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია წინასწარი გამოკითხვების ჩატარება, ამის გათვალისწინებით, რამდენიმე დღის წინათ თბილისში დაწყებული მოსახლეობის თანამშრომლობის მზადყოფნის ტესტირება ამ მიმართულებით დასახული ამოცანის გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯია.

თუმცა, ამ თვალსაზრისით გარკვეული ღონისძიებები უკვე ჩატარდა აჭარაში, გურიასა და კახეთში, შედეგებიც სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, როგორც საქსტატში აღნიშნავენ, თბილისი მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა, სადაც მოსახლეობის რეაქციის წინასწარ განჭვრეტა საკმაოდ ძნელი საქმეა. ამ პროცესში ხალხი შეიძლება აქტიურად ჩაერთოს, შესაძლოა კი მეტად ინერტულიც აღმოჩნდეს, არადა, სრულფასოვანი აღწერის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია უკლებლივ ყველა მოქალაქეზე მონაცემთა მაქსიმალურად ზუსტად დადგენა.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საყოველთაო აღწერის პროცესი, ხალხის მნიშვნელოვანი მასების გამუდმებული გადაადგილების პირობებში, კომპიუტერებით მიმდინარეობს და ბევრგან უმოკლეს ვადაში, ორ-სამ, ზოგჯერ კი, სულაც, ერთ დღეში მთავრდება. მაგრამ საქართველოში კომპიუტერიზაციის დაბალი დონისა და, გარკვეულწილად, ერთგვარი სიფრთხილის გამო, გამოკითხვის ჩატარება მხოლოდ უშუალო კონტაქტებით შეიძლება. საამისოდ, გამომკითხველებს შორის ფსიქოლოგებიც არიან, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში ურთიერთობათა დამყარებაში აქტიურად მონაწილეობენ.

რაც შეეხება აღმრიცხველთა მუშაობის ტექნიკურ მხარეს, მათ 300-400-კაციან ჯგუფებს მენეჯერები უხელმძღვანელებენ, ყველა წევრს აეროფოტოგადაღებით მიღებული თავისი უბნის რუკა ექნება, რომელიც გამოსაყენებლად ძალიან მოხერხებულია, ამდენად, მისი წაკითხვისას პრობლემები, ფაქტობრივად, არ უნდა წარმოიშვას. თითოეულმა აღმწერმა, ქალაქებში მუშაობისას, ორი კვირის განმავლობაში 500 კაცი უნდა მოიცვას, რაც სავსებით რეალურია.

**მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ქვეყნის საშინაო (ასევე საგარეო!) პოლიტიკის სწორად წარმართვის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფო აქციაა, რადგან მის არასწორად ჩატარებას დამახინჯებული ეთნიკური, ასაკობრივი, ქონებრივი, ეკონომიკური და ა.შ. სურათის შექმნა მოჰყვება, რაც უაღრესად უარყოფით შედეგს მოიტანს სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს კი, ცხადია, ქვეყნის არც ერთი კეთილსინდისიერი მოქალაქისთვის მისაღები არ არის.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ძველი და ახალი...

# დანაშაულია, თუ თანხები „ნაცმოძრაობისა" და სააკაშვილის პიარისთვის იხარჯებოდა

(მეხუთე გვერდიდან)

**— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ ლობისტებს მარტო გასულ წელს 16 მილიონი გადაუხადა. რეალურად ეს თანხა საქართველოს პიარზე კი არ იყო გათვლილი, არამედ პრეზიდენტ სააკაშვილისაზე...**

— ლობისტური მომსახურება საკმაოდ ძვირია. საფასურს იღებს როგორც თავად ლობისტური კომპანია, ასევე ის ჟურნალისტი, რომლებმაც უნდა დაწერონ, ან ის პოლიტიკოსები, რომლებმაც პოზიცია უნდა დააფიქსირონ. ეს თანხა საკმაოდ რეალურია და ზღაპრულად ნამდვილად არ გამოიყურება, მაგრამ საქართველოს ბიუჯეტისთვის ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა.

**— როგორ ფიქრობთ, სწორია ამ საქმის გამოძიება?**

— ჯერ უნდა გაირკვეს, ვისი პიარისთვის იყო გამოყენებული ეს თანხა. საქართველოს პიარისთვის თუ ერთი კონკრეტული პარტიისა და მისი ლიდერის პიარისთვის. თუ თანხები იხარჯებოდა „ნაცმოძრაობისა" და სააკაშვილის პიარისთვის, ეს დანაშაულია.

**— უნდა ვისაუბროთ არჩევნებზეც. პიარის თვალსაზრისით პარტიებმა კამპანია სწორად დაგეგმეს? როგორ ფიქრობთ პარტიების სლოგანებმა ამომრჩეველზე იმუშავა?**

— გზავნილები რაღაც როლს თამაშობს, მაგრამ არა ისეთს, რამხელა მნიშვნელობასაც მას ვანიჭებთ ხოლმე. იყო ასეთი ეფექტური გზავნილებიც. „ნაციონალები" ამ მიმართულებით საკმაოდ მარჯვედ მუშაობდნენ. გემახსოვრებათ, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია". სლოგანს თავისი ფუნქცია აქვს, მაგრამ არა — გადამწყვეტი.

**— ამ არჩევნებზე თავისი ფუნქცია შეასრულა?**

— მარგველაშვილისა და ბაქრაძის სლოგანში აქცენტი სიტყვა „ერთადზე" გაკეთდა. მარგველაშვილთან იყო „ერთად განვაგრძოთ წინსვლა", ხოლო ბაქრაძესთან — „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა". თუმცა, მარგველაშვილთან უფრო დამაჯერებელი იყო, რადგან ბაქრაძე 9 წელი იყო ხელისუფლებაში და ყველაფერს აკეთებდა იმის გარდა, რომ მის გუნდს ამომრჩეველთან ერთად მიეღო გადაწყვეტილება. სლოგანებმა გარკვეულწილად იმუშავა... მარგველაშვილთან უკეთესად იმუშავა.

**— ხშირად არის საუბარი, რომ პიარის თვალსაზრისით მოქმედი ხელისუფლება ეფექტურად ვერ მუშაობს და რომ ამ მიმართულებით „ნაციონალები" გაცილებით უკეთ მუშაობდნენ... როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობისგან" ოცნებამ დადებითი მაგალითები ვერ აიღო?**



— „ნაცმოძრაობამ" თავისი პიარით იმდენი რამე გააფუჭა, რომ თავად პიარის მიმართ დამოკიდებულება და მისი ავტორიტეტი გაფუჭდა.

„ოცნებამ" ერთ-ერთი პირველი, რაც თქვა, ის იყო, რომ მე პიარი არ მინდაო. პიარი ყველას უნდა. ყველა ადამიანი ცდილობს, რომ თავისი თავი სხვას მომხიბვლელ ჭრილში აჩვენოს. სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს, რომ ქვეყნის დადებით მხარეები წინა პლანზე წამოწიოს. ხელისუფლებას პიარის გარდა, სხვა უფრო ეფექტური კავშირი ხალხთან არ აქვს.

**— ანუ პიარის თვალსაზრისით გარკვეული შეცდომები ახალმა ხელისუფლებამ მაინც დაუშვა?**

— თუ ამას შეცდომებს დავარქმევთ, ეს ნამდვილად არის, ოღონდ უფრო „ნაცმოძრაობის" მიმართ დამოკიდებულების ინერციაა. ახლა მდგომარეობა ცოტა უფრო შეიცვალა და ეს ასე აღარაა.

რომ ამბობენ, რატომ შეხვდა ივანიშვილი ექსპერტებსა და მედიასო, თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ რეალურად იმ შეხვედრებზე ივანიშვილმა თავის თავზე პიარი აიღო. გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ გამოთქმულ შენიშვნებთან შედარებით ხელისუფლება უფრო ეფექტურია. პიარი სხვა არაფერია, მაგრამ მეორე საკითხია — რამდენად ეფექტური იყო ეს...

**ესაუბრა**
**გუგა ბარათელი**

უჩვეულო საღამო თეატრალურ საზოგადოებაში

# ასე გააკეთა ჩემი გასაკეთებელი საქმე გოგი ქავთარაძემ...

დაგვირეკეს: – თეატრალურ საზოგადოებაში თემურ ჩხეიძის დაბადების 70 წლისთავს აღვნიშნავთ და, მობრძანდითო...

ვიფიქრე, ცოტა ადრე მივალ, იქნებ, თემური „ჩავიგდო ხელში“ და, საღამოს დაწყებამდე, წავისაუბროთ-მეთქი.

მივედი, იუბილარი არ ჩანს, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, ჩვენს ძვირფას გოგი ქავთარაძეს გავანდე, რაც მინდოდა.

– შენ დარბაზში დაჯექი და საუბარიც იქნება და ყველაფერიცო, – მამშვიდებს გოგი.

შემოვიდა თემურ ჩხეიძე – მიესალმა დარბაზს, რომელიც, ძირითადად, მისი მეგობრებით, მსახიობებით, რეჟისორებითა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებით იყო სავსე და გოგი ქავთარაძესთან ერთად სცენაზე ავიდა. გოგი მიმართავს დარბაზს, დღეს ჩვენს ძვირფას მეგობართან და კოლეგასთან კითხვა-პასუხის საღამოს გავმართავთ, თემური იქნება ჩემი რესპონდენტი და, თქვენც, ვისაც გნებავთ შეეკითხეთ, რაღაც-რაღაცებიო...



აი, თურმე, რატომ მამშვიდებდა გოგი, ჟურნალისტის როლი „დაურტყამს“, კითხვებიც იქნება და პასუხებიც, მე, მთავარია, ჩავიწეროო...

და, წავიდა... გოგი „თქვენობით“ მიმართავს, თემური გიჟდება, შენ, კაცო, მაშაყირებო?!. დარბაზიდან ეძახიან, დასხედით, დასხედითო!.. არა, არა, ასე სჯობსო, არ თმობს გოგი და თან ისევ „ოფიციალურად“ ეკითხება რესპონდენტს:

– რამდენი სპექტაკლი გექნებათ დადგმული?..

თემური ცოტა ხანს ფიქრობს:

– ალბათ, ოთხმოცამდე!..

– ხომ არ დაასახელებთ ხუთ – თქვენთვის ყველაზე ძვირფას სპექტაკლს?

– ჩემთვის ყველა ძვირფასია... სუსტიც კი საჭიროა, რომ რაღაც-რაღაცები გაითვალისწინო...

– ვინ მოახდინა თქვენზე, როგორც ხელოვანზე, დიდი გავლენა?

– რა თქმა უნდა, თუმანიშვილმა... თავიდან კი ბატონი დოდო ალექსიძის სტუდენტი ვიყავი.. მერე იგი უკრაინაში წავიდა... დავრჩით ბატონ მიშასთან... თუმცა, მას პედაგოგად არც აღვიქვამდი... ბავშვობიდან ახლოს ვიყავი... ოჯახები მეგობრობდნენ... (გოგის მიმართავს – თუ ძმა ხარ „შენობით“ მელაპარაკე, ოფიციალურ მიღებაზე მგონია თავი).

გოგი არ თმობს:

– რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში (ლენიგრადში) დიდხანს იყავით... არის რაიმე განსხვავება ქართულ და რუსულ თეატრებს შორის?..

– დიდი არაფერი... რეპეტიციებში არის განსხვავება... ქართველი უფრო აღმაფრენით იწყებს, რუსი – ნელ-ნელა... შედეგი ერთი და იგივეა... კარგი მსახიობი, აქაც და იქაც, ერთია...

– ჩამოთვალეთ მსახიობები, რომლებთანაც სიამოვნებით მუშაობდით...

– ძნელია ასე, გოგი!.. ბევრნი იყვნენ... რუსთაველის თეატრშიც, მარჯანიშვილშიც... პეტერბურგშიც... „ლა სკალაშიც“, „მეტროპოლიტენ ოპერაშიც“...

– ცალკე უნდა გამოიყოს თქვენი სატელევიზიო სპექტაკლები... „ჯაყოს ხიზნებმა“ დიდი ამბები დაატრიალა... ახლა თუ დადგამდით ტელესპექტაკლს?..

– სატელევიზიო თეატრი აღარ არსებობს და...

– თუ იყო ისეთი სპექტაკლები, რომელთა დადგმაც გინდოდათ და ვერ დადგით?..

– მე ვერ ვიხსენებ ისეთ დადგმას, რომელიც არ მინდოდა და დავდგი... ყოველთვის ვდგამდი, რაც მინდოდა... ვინც მაძლევდა ამის საშუალებას, ყველას დიდი მადლობა...

– რა არის თქვენი ნაკლი?

– ბევრი ნაკლი მაქვს... მაგალითად, დიდხანს ვფიქრობ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, დიდხანს ვწონი... იყო მომენტები, როცა კატეგორიული უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემ თავს არ მივეცი უფლება... ერთი რამ ვიცი – შეგნებული ბოროტება არ ჩამიდენია...

– თქვენ თეატრალურ უნივერსიტეტში აიყვანეთ ჯგუფი, მოკლედ, უკვე საბოლოოდ ჩვენთან ხართ... ეს სულ სხვა თაობაა... რას ფიქრობთ მათზე?..

– მინდა რომ იყვნენ წესიერები, კარგი მსახიობები, უყვარდეთ თავისი საქმე...

– შორიდან როგორ ჩანს ჩვენი ქვეყანა?

– არ ვიცი რა ჰქვია ამ ავადმყოფობას, მაგრამ, ვგიჟდები, თუ იქ ვინმე აუგად ახსენებს ჩემს ქვეყანას, თუნდაც, პრეზიდენტს... თუ იქ აგებს ჩვენი რომელიმე გუნდი... რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ გამძაფრებულია სამშობლოს გრძნობა...

**...კიდევ** იყო კითხვები, რომელთაც სიამოვნებით პასუხობდა თემურ ჩხეიძე, იყო კითხვები დარბაზიდანაც: – სულ არ გევხართ 70 წლისას!...

– ნეტა სად გაქრა ეს დრო?! ისე, ადამიანი თავის ასაკს უნდა ჰგავდეს!

მოკლედ, გოგი ქავთარაძემ, როგორც ჟურნალისტმა, ივარგა, ხოლო მე ჩავწერე ზოგი რამ და თქვენ მოგართვით, ძვირფასო მკითხველო!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

პატივგება



# რამაზ ჩხიკვაძემ ქართულ თეატრში ეპოქა შექმნა!

**„ცხრა აპრილის“ ბაღში, რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის გახსნაზე ბიძინა ივანიშვილმა მსახიობის შემოქმედებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „რამაზ ჩხიკვაძემ ქართულ თეატრში მთელი ეპოქა შექმნა“.**

**— არსებობენ ადამიანები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ქვეყნის ცხოვრებაში, ასეთი ადამიანი გახლდათ რამაზ ჩხიკვაძე, სწორედ ამიტომ ვუდგამთ მას ძეგლს. რამაზმა მთელი ეპოქა შექმნა თეატრის ცხოვრებაში და ის გენიალური მსახიობების თანავარსკვლავედში ჩაეწერა. ყველას კარგად გვახსოვს, როგორი პოპულარული იყო რამაზ ჩხიკვაძე, როგორ მოყავდა ალტაცებაში მაყურებელი, როგორ გააოცა შექსპირის სამშობლოც კი საკუთარი შემოქმედებით და მან სიცოცხლეშივე მოახერხა საკუთარი შემოქმედების უკვდავყოფა. რამაზი ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობარი იყო და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. ქართველმა ხალხმა მოახერხა და მას დიდი პატივი მიაგო. ჩვენი თაობა ბედნიერია, რომ რამაზის ეპოქაში ვცხოვრობდით. დღესაც არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ თეატრში მივდივარ და ალბათ მეათედ ვნახავ სპექტაკლს. ვულოცავ საქართველოს დღევანდელ დღეს,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი ქართველ მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს ეკუთვნის. ძეგლის გახსნას ბიძინა ივანიშვილი, მისი მეუღლე, გიგი უგულავა და ძეგლის ავტორი ესწრებოდნენ.

**— მე ვოცნებობდი ლეგენდარული რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის შექმნაზე. ეს ძეგლი საჩუქრად მივუძღვენი ქართველ ხალხს, თბილისს, რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედების სიყვარულს, თქვა გამოჩენილმა ხელოვანმა ზურაბ წერეთელმა და მადლობა მოახსენა ათასობით თბილისელს, რომლებიც, წვიმის მიუხედავად, დღის 12 საათზე „ცხრა აპრილის“ ბაღში შეიკრიბნენ.**

**ძეგლის გახსნაზე მრავალი უცხოელი (ძირითადად, რუსეთელი) სტუმარიც იყო.**

**განუმეორებელი აზდაკის — რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის არქიტექტორია რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია.**

**რუსუდან ქობულია**

ალიან-ჩალიანი

## ქართული სახელმძღვანელოები აზერბაიჯანში

**აზერბაიჯანში არსებულ ქართულენოვან სკოლებს სახელმძღვანელოები გადაეცათ. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მუხრან გულაღაშვილი აზერბაიჯანის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების ითითალას, ალიაბადისა და კახინგილოს ქართულ სკოლებს ეწვივნენ.**

**მათ მოსწავლეებს საჩუქრად ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო მასალები გადასცეს. ღონისძიების ფარგლებში შეხვედრები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან გაიმართა.**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში სულ 7 ქართულენოვანი სკოლაა, 4 აზერბაიჯანულენოვან სკოლაში კი, ქართული სექტორი ფუნქციონირებს.**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა ამ სკოლის მოსწავლისთვის ქართული ენისა და მათემატიკის ის სახელმძღვანელოები შეიძინა, რომლითაც მათი თანატოლები საქართველოში სწავლობენ.**

**ზემოაღნიშნულ სკოლებს 2008 წლამდე სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფდა. შემდეგ წიგნებით უზრუნველყოფა შეწყდა. აღნიშნული რეგიონის ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა სახელმძღვანელოების საქართველოში ცალობით შეძენას, რამაც საგრძნობლად შეამცირა ამ რაიონებიდან საქართველოში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობაც და ამ გამოცდებზე მიღწეული შედეგებიც.**

**ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, მხოლოდ 2013 წლიდან გახდა შესაძლებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნების მიზნით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების ჩატანა.**

## უნიკალური წარმონაქმნის ბუნების ძეგლებს სპეციალური კანონი დაიცავს

**„ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ — ასე ეწოდება კანონპროექტს , რომელიც პარლამენტმა გუშინ მესამე მოსმენით დაამტკიცა და რომლის რეგულირების სივრცეში შევიდა: სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსი — ბალდის კანიონი, ინიორეს ჩანჩქერი და ტობას პირველი მღვიმე, ტობას ჩანჩქერი და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლი, ასევე მოთენას მღვიმე, ჯორწყუს მღვიმე, ოჩხომურის ჩანჩქერი, ნაზოდელაოს მღვიმე, მდინარე აბაშის ჩანჩქერი და გოჭკადილის კანიონი. ბუნების ძეგლების სისტემაში და აღნიშნული კანონის დაცვის ქვეშ მოექცა: გოდერძის ნამარხი ტყე, დაშბაშის კანიონი, სამშვილდის კანიონი, მუხურას ჩანჩქერი, ბოდორნის კლდის სვეტები, ჯვრის უღელტეხილის ტრავენტინი და ქეთერისის მინერალური ვოლკუზის ბუნების ძეგლი.**

**კანონპროექტით დგინდება აღნიშნული ბუნების ძეგლების ფართობი და საზღვრები. განსაზღვრულია მის ფარგლებში არსებული მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ტყეების და სხვა ბუნებრივი რესურსის მოვლა, დაცვა და აღდგენა.**

**ინტერპრესი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ახალი პრემიერი სკოლაში მთავარ დიპლომატობაზე ოცნებობდა

**31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი ემზადება მიიღოს საქართველოს ლიდერის მოვალეობანი**

**საქართველოს პარლამენტი 19 ნოემბერს შეუდგა საკომიტეტო მოსმენების პროცედურას ახალი მთავრობის პერსონალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, რომელსაც ოთხშაბათს დაამტკიცებენ. „ქართული ოცნების“ კაბინეტში მოხდება ერთადერთი ცვლილება — შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს თბილისის პოლიციის შეფი, 28 წლის ალექსანდრე ჭიკაიძე. ამ უწყების ამჟამინდელი ხელმძღვანელი, 31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი გახდება პრემიერ-მინისტრი, იგი იქნება ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი.**



ქართველი პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ ცვლილებები კაბინეტში აუცილებლად იქნება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, გაზაფხულის ბოლოსთვის — ზაფხულის დასაწყისისთვის დანიშნული ადგილობრივი არჩევნების წინ.

**— ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის,** — გვითხრა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ხათუნამ. **— მაგრამ მუნიციპალური არჩევნები იქნება პირველი, რომელზეც მმართველი კოალიცია მივა მთავარი „ბრენდის“ — ბიძინა ივანიშვილის გარეშე. თუ არჩევნების წინ მთავრობას გაუჩნდება ეკონომიკური პრობლემები, ცვლილებები მასში აუცილებლად განხორციელდება — ელექტორატისთვის თვალსაჩინოდ.**

ოპოზიცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახით მონაწილეობას მიიღებს კომიტეტების სხდომებში, მაგრამ ხმას ახალ მთავრობას არ მისცემს.

დეპუტატმა „ნაციონალმა“ მიხეილ მაჭავარიანმა ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ არ არსებობს არანაირი რწმენა, რომ „ქართული ოცნება“ შეძლებს გაუსწორდეს ეკონომიკურ გამოწვევებს.

**— არ არის ზუსტი ეკონომიკური ანალიზი, და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე სკეფსისი აქვს საქართველოს მოსახლეობის, როგორც მინიმუმ, ერთ მესამედს,** — აღნიშნა მან.

მიუხედავად ამისა, მთავრობას დაამტკიცებენ. „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ხმები 150-ადგილიან პარლამენტში ამისთვის საკმარისი იქნება. ამის შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ახალი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გახდება საქართველოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ პირველ ხანებში, როგორც მინიმუმი, იგი საკვანძო საკითხებზე მოეთათბირება გადამდგარ ბიძინა ივანიშვილს.

თავად ღარიბაშვილი არ მალავს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მისთვის ამ ადამიანს.

**— მთელი ჩემი ცხოვრება 2005 წლის 17 ოქტომბრის მოვლენებმა გადაატრიალეს,** — ამბობს იგი.

**სწორედ მაშინ თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის 23 წლის კურსდამთავრებულს, რომელმაც ასევე გაიარა სწავლება სორბონში, ივანიშვილმა, მაშინ მხოლოდ მილიარდერმა და მეცენატმა, შესთავაზა სათავეში ჩადგომოდა საქველმოქმედო ფონდს ბიზნეს-ჯგუფ „ქართუსთან“.**

**სკოლის წლებში კი ღარიბაშვილი, რომელიც დედოფლისწყაროს რაიონიდანაა, თბილისის აღმოსავლეთით 130 კილომეტრის დაშორებით რომაა, ოცნებობდა გამხდარიყო საგარეო საქმეთა მინისტრი. ამის შესახებ გვიამბო მისმა მასწავლებელმა ეთერ ზურიკაშვილმა, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში მისი კლასის ხელმძღვანელი იყო.**

**— ირაკლი ნაკითხი ბიჭი იყო, კარგად სწავლობდა ყველა საგანში, განსაკუთრებით აინტერესებდა ენები — ინგლისური, რუსული,** — იხსენებს პედაგოგი. **— მისი თანაკლასელები ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ მას. იძლეოდა ძალიან ბევრ შეკითხვას სანამ ბოლომდე არ გამოარკვევდა, თუ რა რა არის. მეათე კლასში იგი რაიონის სახელით აირჩიეს საქართველოს ახალგაზრდულ პარლამენტში. როდესაც სკოლის მოსწავლეები წერდნენ თავისუფალ თემას მომავალ პროფესიაზე, ირაკლი ამბობდა ხოლმე, რომ ოცნებობს სათავეში ჩაუდგეს ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ უწყებას.**

**მომავალი პრემიერის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი — მისი თანაკლასელია, მათ ორი ვაჟიშვილი ჰყავთ.**

როდესაც 2011 წლის ოქტომბერში ივანიშვილი სათავეში ჩაუდგა ქართულ ოპოზიციას, ღარიბაშვილი გაჰყვა მას „ქართულ ოცნებაში“. ამის შემდეგ მისი სიმამრი, პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი დააპატიმრეს სამწლინახევრით იარაღის ტარებისა და შენახვისთვის. ბრალდება გამოიყურებოდა სასაცილოდ და პოლიტიკურად მოტივირებულად. თამაზაშვილი გისოსებს მიღმა წელიწადზე ოდნავ მეტხანს იყო და გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა. ღარიბაშვილი ამბობს, რომ ამზადებდნენ მის დაპატიმრებასაც შეთითხნილი საქმეებით. „ქართულ ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა, იგი ამჟამად, ალბათ, ასევე გისოსებს მიღმა იქნებოდა. ღარიბაშვილი აღიარებს, რომ არის ემოციური, მაგრამ აღმოსავლური ორთაბრძოლებით გატაცება ეხმარება მას გაუსწორდეს ამ ნაკლოვანებას. მომავლისკენ იგი ოპტიმიზმით იმზირება.

**— ყველაფერი იქნება უკეთ, ვიდრე ეს საქართველოს მოქალაქეებს წარმოუდგენიათ. მხოლოდ საჭიროა ცოტა მოთმინება,** — ამბობს იგი.

24 ნოემბერს ღარიბაშვილი ივანიშვილისგან სხვა პოსტსაც მიიღებს. ეს იქნება პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის პოსტი. ეს მოხდება ამ ორგანიზაციის ყრილობაზე.

პარტიის გენერალური მდივანი, ალბათ, გახდება ენერგეტიკის მინისტრი, საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და „მილანის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულ კახი კალაძე.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე



### ობამამ უარი განაცხადა, ბოდიში მოიხადოს აშშ-ს შეცდომების გამო ავღანეთში

ავღანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ ამერიკელი ჯარისკაცების ყოფნის შესახებ ქვეყანაში, ვინაიდან ავღანეთის მხარემ მოითხოვა ბოდიშის მოხდა დაშვებული სამხედრო შეცდომების გამო. თეთრი სახლი ირწმუნება, რომ ბოდიშის მოსახდელი არაფერია.

### ვენესუელის პრეზიდენტმა მიიღო განსაკუთრებული უფლებამოსილებანი – წლის განმავლობაში იქნება კანონმდებელი

მადურო არაერთგზის აცხადებდა, რომ განსაკუთრებული უფლებამოსილებანი მას სჭირდება მაღალ ფასებთან, სპეკულაციასთან და კორუფციასთან ბრძოლისთვის. კანონპროექტი მიღებულ იქნა ხმების უმრავლესობით. გადამწყვეტი ხმა მიღებული იქნა იმის წყალობით, რომ ადრე გაიწვიეს ოპოზიციონერი ქალბატონის სადეპუტატო უფლებამოსილებანი, რომლის ნაცვლადაც მოვიდა პრეზიდენტის მომხრე.

### სირიის ქიმიური იარაღი საერთაშორისო წყლებში განადგურდება



იმის გამო, რომ ქვეყნებმა, რომელთა იმედიც თავიდან ჰქონდათ, უარი განაცხადეს მიეღოთ თავისთან სახიფათო კომპონენტები, ამერიკის ადმინისტრაციაში სთავაზობენ ორ ხერხს, გათავისუფლდნენ სირიის იარაღის მარაგისგან ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ამ დროს სირიის ოპოზიციის მომხრეებმა გაეროში გაიყვანეს რეზოლუცია, რომელიც გმობს დამასკოს. რუსეთმა ხმა წინააღმდეგ მისცა, მაგრამ უმრავლესობამ დოკუმენტს დაუჭირა მხარი.

### გამოქვეყნდა სტუდენტებისთვის მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების რეიტინგი

პირველი ადგილი შეხვდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს (417 ქულა), მეორე — დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონს (415 ქულა), რეიტინგში მესამე აღმოჩნდა სინგაპური (411 ქულა). სტუდენტებისთვის საუკეთესო ქალაქების პირველ ათეულში ასევე შევიდნენ სიდნეი, მონრეალი, ბოსტონი, მელბურნი, ციურიხი, ჰონკონგი და მიუნხენი.



გულისტკივილით ნათქვამი

# ამოვაგორე მძიმე სიტყვა ხორხიდან

ახმად ქერდიყოშვილი და მე ახლა, ათა და ბაბას დროინდელ „მოსკვიჩში“ ვსხედვართ და ხადორის ხეობიდან თბილისისკენ მოვდივართ. ახმადი ხალისიანი ბიჭია და ვიცი, გზაში არ მოგვწყინდება. ცოტა „ფილოსოფოსობაც“ უყვარს და, მგონი, მთელი მსოფლიოს ლეგენდებიცა და ბრძენკაცთა გამონათქვამებიც იცის ზეპირად. მე იგი ვალერიან ჩეკურიშვილმა გამაცნო პანკისის ხეობაში ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ. მაშინ მე შინაგანი ჯარების გაზეთს ვრედაქტორობდი და ხადორჰესის მშენებლობის „გასაშუქებლად“ ვიყავი მივლინებული ამ „ცხელ წერტილში“. ამასთან, იმ დღეებში, შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობის თაოსნობით სოფელ დუისში უძველესი მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინება აკურთხა მეუფე გრიგოლმა. ვალიკო და მე კი, საქართველოს ტელევიზიაში, თითქმის, ოცი წელიწადი ვმუშაობდით ერთად და რაც, 1991-ში „უკეთურებმა“ ცეცხლი გაუხსნეს ტლესახლს, ერთმანეთი არ გვენახა.

...სოფელ ყვარელწყალში, შინმოუსვლელთა სახლის ეზოში ვიდექით და საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ინგლისელ გენერლებთან თავს ვიწონებდი:

— ეს წმინდა სახლი ჩემი მეგობრის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ამ კუთხის შვილის, ვალერიან ჩეკურიშვილის რუდუნებით აშენდა!... მისი წიგნები და მოთხრობები თავისი კუთხისა და სამშობლოს უზადო სიყვარულითაა ნაქარგი და მე მას, მისი ერთ-ერთი ნაწარმოების სათაურის მიხედვით, „თედო პაპას“ ვეძახი ზედმეტსახელად!...

იქვე სოფლის ბიჭები იდგნენ და თვალი ვკიდე, როგორ ააცეკვა ნაბიჯები ერთ-ერთმა! ახლავე მოვალო, დაუბარა მეგობრებს და...

ცოტა ხანში ვალერიანთან ერთად შემობრუნდა ეზოში.

— ო,ო,ო!... აი, „თედო პაპა“!...—აღმომხდა გახარებულს და იგი სიამაყით გავაცანი სტუმრებს! ვალიკო მოწიწებით მიესალმა მათ და მე „ამავსო“ საყვედურით:

— შე, უნამუსო!... ახმადი, რომ არ მოსულიყო, შენ არ გაგახსენდა, რომ ყვარელწყალი ჩემი სოფელია?... არ მომიკითხავდი?...

ერთმანეთს გადავეხვიეთ. მერე სტუმრები გავაცილეთ! მე კი, სამი დღე დავრჩი ყვარელწყალში... არ მომეშვა ვალიკო!

ასე გავიცანი ახმადი! მისი „მოსკვიჩით“ მოვიარეთ ახმეტის რაიონის ღირსშესანიშნაობანი მაშინ!

...ჰოდა, ახლა, იმავე „მოსკვიჩში“ ვისხედით და თბილისში მივდიოდით მე და ახმადი! ეს სულ ახლახან, საყოველთაო არჩევნების შემდეგ იყო. პანკისს ჯერ კიდევ შავ თალხად ეფინა, ამ ორი წლის წინათ დატრიალებული ტრაგედია, რომელიც „ქნეს“ „სახელოვანმა“ ძალოვანებმა... მაგრამ ამ ტრაგედიაზე ხმას არ ვიღებდით არც ერთი!... ეს იყო ფეთქებადი თემა და, ვამჩნევდი, სტუმრის ხათრით ახმადიც გულში იკლავდა მას!

ერიჰააა, ბაბა!...

...თავიდანვე სხვა რამეზე გადაიტანა თავისი ბოღმა ახმადმა!...

— ადამი და ევა თავის ხატად და სახებად რომ გააჩინა ღმერთმა, მერე დაფიქრდა და ადამიანი უწოდა მათ! ასწავლა სიყვარული და სათნოება; ასწავლა როგორ განერჩიათ ერთმანეთისგან ადამიანი და მხეცი! მაგრამ, სადღაც, გონების წკვარამში გაჩნდა კაენი, ეშმაკის სახებად მოვლენილი, და ადამიანებს დაავიწყა ღვთისაგან ნაქადაგები სიბრძნე: — არა კაცთ კვლა, არა მრუშობა, არა უზნეობა, არა შური და სისასტიკე, არა გულგრილობა და ამპარტავნობა, არა მოძმისა და მამულის სიძულვილი! ... გაჩნდნენ უგვანო ქარიტებიც! და თავიანთი თავები წარმოიდგინეს ქვეყნიერების მხსნელ მესიებად, შეუცვლელებად და „გაიჯეჯილეს“ სხვათა დახნულ-დათესილ ყანაში! მაგრამ, რასაც ყველაზე მეტად დაუშანთავს ადამიანთა სული, განუზომელი ძალაუფლებისა და ფუფუნებისაკენ ლტოლვაა, ამ ძალაუფლებისა და ფუფუნების დაკარგვის შიშია! მშიშარათა ხელში კი, ძალაუფლება სასტიკი და დაუნდობელია, უხამსობის ჯირითია! და თუ, ამ გზაზე სიკეთე გადაეღობება მას, — მტრისას! ძალასა და უფლებას ამოფარებული მშიშარა სისხლის მსმელი და დაუნდობელი ხდება. მშიშრებმა ასე იციან,— თავისი უმსგავსოების დასაფარავად ყველას და ყველაფერს უნდა მოუღონ ბოლო! მშიშრებისთვის არ არსებობს ის, რისთვისაც გააჩინა ღმერთმა ადამიანი! ისინი კაენს უკმევენ სანთელს და ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ!... თუმცა, რად მინდა ახლა, ეს „ფილოსოფიური“ განსჯა?... უბრალოდ, მინდა, გავაფრთხილო ყოველი კაცი, რომელიც მოვიდა ამ ქვეყნად სიკეთის საკეთებლად!... მინდა, გავაფრთხილო ყველა, — მშიშარამ გაყურსვა იცის და ვინ იცის, როდის გამოყოფს ბრჭყალებს!... მას ხომ სამშობლო არა აქვს!... კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულერთია, რას ეძახიან ის „მშიშარანი“ იმ კეთილ კაცს!... მთავარია, მე, ქართველმა კაცმა, ვიცოდე რომ მისი ნაბიჯები ქართულია და ამიტომ მიხარია, რომ ის ქართველია, საქართველოს მოქალაქეა და ღირსეული მოქალაქეც!... აბა, ის არის საქართველოს მოქალაქე, ვინც ყველაფერი წაბილწა, — ენაც, მამულიც და სარწმუნოებაც? მამული შეგვიგინა და გაგვიბახა? „მომსახურების სფეროდ“ გვაქცია, თვითონ გასუქდა, გაიბესტა და ბრძენ „გურუდ“ წარმოგვიდგინა თავი?... შიშს დიდი თვალები აქვსო, ამბობენ! შიშმა აიძულა ძრწოლა და შური მშიშარათა ქარიზმატულ სულს და, იცოდე, ჩემო ძმაო, იგი საფლავიდანაც შეეცდება კვლავ გამოაჩინოს თავისი ბრჭყალები!... ჰოდა, ამიტომ გეუბნები, სწორედ, — მშიშარათა მძვინვარების ხელშია ბრჭყალები საშიში და უზნეო! დროზე უნდა მოვაცილოთ ეს ურდო მინდორს, თორემ, ეშმაკს არ სძინავს... ვარდების სანაცვლოდ ეკალს დაგვირგავს ამ მინდორზე!...

...თელავის ბაზართან შევჩერდით. ატამს და რქაწითელს ჰყიდდა მშვენიერი ქალბატონი.

— რა ღირს შენი ატამი? — ჰკითხა ახმადმა.

— ეეჰ!... რამდენიც ღირს მაგდენს ვინ მომაშავებს, თორემა!... ვერსად ვაბარებთ!... და თუ, ვაბარებთ, კაპიკებად ვაბარებთ!... მოდი, ძმაო, იაფად წაიღე!

ვიყიდეთ და წამოვედით.

...გურჯაანშიც შევყოვნდით და საგარეჯოშიც...

საგარეჯოში მიტინგი დაგვხვდა. ზოგი ყვიროდა, ზოგიც სხვას ამშვიდებდა და გაცემულ თუ გაუცემელ საარჩევნო ხმებზე დავობდნენ.

მანქანიდან არ გადმოვსულვართ. გზა განვაგრძეთ.

არც ისე მშვიდად ჩაიარა საპარლამენტო არჩევნებმა კახეთში!...—ჩავილაპარაკე გულდაწყვეტილმა.

— ჰო, კი... აბა, აბა!... მართალი გითხრა, მრცხვენია.... კიდევაცა!... ზოგიერთ რაიონში კახელებმაც ჩაიბოლოწინეს ყელი, კიდევაცა!...—თქვა და გავჩუმდით.

თბილისში, რომ შემოვდიოდით, მხოლოდ მაშინ ამოვიღე ხმა.

— ახმად, სამეგრელოში წამომყვები?...

— ვააა!... რავა არ წამოგყვები?... ოცნებად მაქვს სამეგრელოში წასვლა!... ძალუა მყავს მეგრელი!... ისეთი სითბო და სიყვარული შემოიტანა ჩვენს სოფელში, რომა... გინდა ხვალვე წავიდეთ?!!.. ძველია, მაგრამ ყოჩაღია ჩემი „მოსკვიჩი“!...

ისევ გაჩუმდა.

— რა მოხდა, ახმად, რატომ გაჩუმდი?..

— იცით, ბატონო ზაურ, გული დამწყდა ძალიან...

— რამ დაგწყვიტა გული, შე კაცო?...

— ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ... არასაკადრისი სიტყვა უნდა ვთქვა... არჩევნებმა სამეგრელოშიც ჩაი...

...სიტყვა ვერ დაამთავრა ახმადმა!... უეცრად, სად იყო და სად არა, ძეძვნარიდან დაფეთებული შინაური ტახი გამოვარდა და, ახმადს, რომ არ ემარჯვა, „მოსკვიჩს“ ჩაუვარდებოდა, უცილოდ!...

— „...სვარა“, ჩემო ახმად, „...სვარა“!... — ამოვაგორე მძიმე სიტყვების ბოლოსართი ხორხიდან.

გადარჩენილმა ტახმა თავი შერგო ბარდნარში!

...მე და ახმადმა კი, მაინც გადავწყვიტეთ ჩემი სამეგრელოს მონახულება!

წინ ხომ საპრეზიდენტო არჩევნები გველოდებოდა!...

**ზაურ ფიფია**

თარიღი

# კვლავაც ნაყოფიერად მოღვაწეობს



## გიორგი ჯომარდიძე – 90

**გულთბილად ვულოცავთ დაბადების 90 და სამეცნიერო მოღვაწეობის 60 წლისთავს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს გიორგი ჯომარდიძეს.**

მან ღირსეულად განვლო მეტად შრომატევადი, ნაყოფიერი და დიდი სამეცნიერო გზა. იგი 1942 წელს მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და ღირსეულად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი. შემდგომ იმუშავა ახალციხის რაიონში მეხილე აგრონომად, მთავარ აგრონომად. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და წლების განმავლობაში მუშაობდა მეხილეობის სკრის საცდელ სადგურში და საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, განყოფილების გამგედ.

გ. ჯომარდიძეს მოღვაწეობის პერიოდში გადაწყვეტილი აქვს მრავალი პრობლემური საკითხი, რის შესახებაც გამოცემული აქვს მრავალი წიგნი, ბროშურა და 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. წარმოებაში დანერგილმა მისმა რეკომენდაციებმა, რომელნიც ეხებოდა ინტენსიური და მაღალინტენსიური ბაღების გაშენებას, ნერგის წარმოების ახალ ტექნოლოგიას, ნიადაგის მოვლის წესებს, ხეხილის გასხვლის დიფერენცირებულ წესებსა და ოპტიმალური კვების არეებს ნიადაგებში, ხელი შეუწყო მცენარის დაჩქარებით მსხმოიარობას, მოსავლიანობის გადიდებასა და ხილის ხარისხის გაუმჯობესებას.

ასევე ნაყოფიერი იყო მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეხილეობის დარგობრივ კომისიას. იგი მონაწილეობდა მრავალ ადგილობრივ და საზღვარგარეთის კონფერენციებში, სიმპოზიუმსა და კონგრესში.

გ. ჯომარდიძე დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით. იგი ამჟამადაც ნაყოფიერად საქმიანობს სამეცნიერო და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ სფეროში.

ბატონო გოგი, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებითს, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;**

**აგრარული უნივერსიტეტის მეხილეობის ინსტიტუტი.**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● „აკანჩაწილნა“ დავრწმუნდი — ცხვირი იმიტო გვარგუნა ღმერთმა, ხელისუფლების საქმეში რო ჩავყოთ.

● ბარამიძემ, გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლებისთვის მკაცრად გავაკრიტიკე მიშაო... აფრასიძეების გვამებზე გადალაჯულიც უღიმღამოდ ვილუკმებოდიო, ჟვანიას მკვლელობაზეც ისეთ შოკში ჩავვარდი, ხმა არ ამომდიოდა პირიდან და იძულების წესით ვდუმდიო — ესენი აღარ უთქვია — იგულისხმა.

● დამშეული ნადირები რო ხორცის ნაჭერს დაინახავენ, ისე დაესივნენ ღარიბაშვილს.

● ნაციონალების სინაგლე ნახეთ? ახალ შსს-ს მინისტრს უტევენ, რას აკეთებდი 26 მაისს, მიგიღიათ თუ არა უკანონო ბრძანება და შეგისრულებიათ თუ არა ის 2008–2011 წლებშიო?! კიდე დიდხანს უნდა გვასმენინოთ ამ ხარახურების დამცინავი ტონი? ან საიდან მოიყვანეთ ეს ჭოჭინიანი მინისტრი, რატოა ამდენი კითხვები მის გარშემო?

● დღევანდელ „მოსმენაზე“ რატომღაც ქრისტიან-დემოკრატების და კიდევ ზოგიერთი სხვა „ოპოზიციონერის“ რობესპიერისებული გამოსვლა გამახსენდა.

რატომ ასეთი ასოციაცია არ ვიცი.

ალბათ, შემთხვევით.

● ნაციონალები მალადეც! ყველა ის შეკითხვა დაუსვეს ახალ მთავრობას, რაც ნაციონალების მიმართ ქონდა მთელი 10 წელი ხალხს.

ოცნებავ, ახლა დადექით და უპასუხეთ!

● სულ მიკვირდა, რატომ მოხვდა ნადირაშვილი პარლამენტშითქო და ჰე, გევიგე რავარც იქნა.

● აი, ის ქალები, ცალი ხელით ალასანიას ცოლის კალგოტკის გასწორებაზე რო პოსტავენ და მეორე ხელით გახეულ კალგოტკას მანიკურით იმაგრებენ.

● მიშა ბიშკეკში წასულა პრეზიდენტობის გადასაგდებად, მაგას ლომკა (აბსტინენცია) ცოდნია, მტრისას.

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძემ**

ალიან-ჩალიანი

## სისხლის ჯგუფი და რეზუსი მართვის მოწმობებში

**დღეიდან** შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობებზე, მოქალაქეების სურვილის მიხედვით, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დატანას იწყებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე სისხლის ბანკის თანადგომით, სისხლის კვლევითი ლაბორატორია გაიხსნა.

როგორც შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ნინო კობახიძემ განაცხადა, ლაბორატორიაში სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობაში საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის მითითების ყველა მსურველს აღნიშნული კვლევა ადგილზე ჩაუტარდება. ხოლო ყველა იმ პირს, ვინც სურვილს გამოთქვამს გახდეს სისხლის დონორი, გაიღოს 250 გრამი სისხლი და დაეხმაროს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, შესაძლებლობა ეძლევათ სრულიად უფასოდ ჩაიტაროს გამოკვლევა 4 სახის ვირუსზე.

შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა და მოქალაქეებმა დონორობის სურვილი გამოთქვეს და მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე მოწყობილ ლაბორატორიაში სისხლი ნებაყოფილობით ჩააბარეს.

ინტერპრესი

## რაგბი

# მზადება სეზონის ბოლო მატჩისთვის

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2013 წლის ბოლო მატჩს გიორგობა დღეს, 23 ნოემბერს სამოას წინააღმდეგ გამართავს. კანადასთან 19:15 მოგებული თამაშისა და შაბათს აშშ-სთან ბოლო წამზე გაშვებული ჯარიმით 23:25 მარცხის შემდეგ, საქართველოს არა მხოლოდ ამ ნოემბრის, არამედ მთელი მისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები ეწვევა.**




19 ნოემბერს „ბორჯღალოსნებმა“ „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ტრადიციული ღია ვარჯიში გამართეს. საბედნიეროდ, აშშ-სთან მატჩში არცერთი ქართველი მორაგბე არ დაშავებულა და გუნდი იმავე შემადგენლობით ემზადება. ინდივიდუალურად ივარჯიშა ნაკრების კაპიტანმა ირაკლი მაჩხანელმა, რომელმაც კოჭი ჯერ კიდევ კანადელთა წინააღმდეგ თამაშისას დაიშავა, მაგრამ მისი მომავალ მატჩში მონაწილეობა პრაქტიკულად გამორიცხულია.

სამოას ნაკრები, რომელიც ჯერ ირლანდიასთან 9:40 და მერე „ფრანგ ბარბაროსებთან“ 19:20 დამარცხდა, თბილისში გუშინ გამთენიისას ჩამოვიდა. ჩვენი გუნდის მსგავსად, რამდენიმე წამყვანი მორაგბე კუნძულელებსაც აკლიათ და ამ კუთხით გუნდები თანაბარ სიტუაციაში არიან. მომავალი შეხვედრა „მიხეილ მესხზე“ 16:30 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი 1 და 3 ლარია.

**მერაბ შარიქაძე:** „აშშ-სთან მარცხი საქართველოს რაგბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატულია. ფაქტობრივად მოგებული თამაში წავაგეთ. წაგებული თამაშის შემდეგ ძალიან რთულია განწყობა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პირადად მე და გუნდის სხვა წევრებიც არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვართ. რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, სამოელი მორაგბეები ფიზიკური ძალით და აგრესიული თამაშის სტილით გამოირჩევიან. ჩვენი კოზირიც სწორედ ფიზიკური ძალაა, ეს კოზირი უნდა გამოვიყენოთ და შეტევაში მშვიდად და გააზრებულად უნდა ვიმოქმედოთ“.

საქართველოს ნაკრები მომავალი მატჩისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადება:

**შერკინება:** დავით ხინჩაგიშვილი („რასინგ მეტრო“, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), რევაზ ბელქანია (“ლელო“, თბილისი), დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე („ტარბი“, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი („მასი“, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი), გიორგი თხილაიშვილი („არმია“, თბილისი);

**უკანა ხაზი:** გიორგი ბეგაძე („ყოჩები“, ბოლნისი), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“, რუსთავი), მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი“, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი), მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), დავით კაჭარავა („ენისეი“, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე („პერიგო“, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი („ლელო“, თბილისი), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“, თბილისი).

**მთავარი მწვრთნელი:** მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია).

**მანუჩარ გიორგაძე**

## ექო

# „საბურთალო“ ილია კოკაიას „ზესტაფონიდან“ წასვლას გამოეხმაურა

**ილია კოკაიას „ზესტაფონის“ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომას საფეხბურთო კლუბი „საბურთალო“ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადებით გამოეხმაურა:**

„ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთში პრობლემები მრავლად დაგროვდა. ერთ-ერთი ასეთი კი საკონტრაქტო სისტემის ხელყოფა და კერძო მფლობელობაში მყოფი გუნდების უფლებების დარღვევაა. აღნიშნული ფაქტები სპობს და ხელს უშლის ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ქართულ გუნდებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც მმართველი ორგანიზაციაა და პასუხისმგებელია ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზე, ვალდებულია მიიღოს პრევენციული ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ დაპირისპირებები კლუბსა და ფეხბურთელებს შორის. აღნიშნული ფაქტები ლახავს ქართული ფეხბურთის იმიჯს.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ვალდებულები არიან გაუფრთხილდნენ კლუბებს, იმ პრეზიდენტებს, რომლებიც საკუთარ ინვესტიციებს დებენ სპორტის ამ სახეობაში.

როდესაც კერძო ინვესტორი განცხადებას აკეთებს კლუბიდან წასვლაზე, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელი და დამაფიქრებელია. დღეს „ზესტაფონის“ პრეზიდენტი წავიდა ქართული ფეხბურთიდან, ხვალ და ზეგ მისი ბედი, შესაძლოა, სხვამაც გაიზიაროს, რაც საბოლოოდ სავალალოს გახდის ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ფეხბურთს.

თითზე ჩამოსათვლელად გვყავს ადამიანები, რომლებიც საკუთარ ინვესტიციებს ანხორციელებენ ქართულ ფეხბურთში. ასეთ ადამიანებს გვერდში დგომა და მოფრთხილება სჭირდებათ.

მიგვაჩნია, რომ ბატონ ილია კოკაიას ქართული ფეხბურთისათვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული და მომავალშიც შეუძლია სასიკეთო ნაბიჯების გადადგმა. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ერთ-ერთია, რომელიც მუდმივად იცავს „ფეარ პლეის“ პრინციპებს. ასევე გუნდმა ევროპაში წარმატებით დაიცვა ქართული ფეხბურთის ღირსება და, იმედი გვაქვს, მომავალშიც გააგრძელებს.

გვჯერა, ქართულ ფეხბურთში არიან კომპეტენტური, ამავდროულად ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები, რომლებსაც აწუხებთ და სტკივათ დღევანდელი მდგომარეობა. სწორედ ასეთი ადამიანების ერთმანეთის გვერდში დგომით შეიძლება გამოსავლის პოვნა და ქართული ფეხბურთის სწორ გზაზე დაყენება.

**იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი ილია კოკაიას წასვლა „ზესტაფონის“ პრეზიდენტის პოსტიდან დროებითია და იგი კვლავ დაბრუნდება ქართული ფეხბურთის სამსახურში“.**

**ბექან დოლიძე**

## კალათბურთი

# ქართველთა „სარაგოსამ“ ბელგიელები გაანადგურა



**საკალათბურთო ევროთასის მე-6 ტურის მატჩში გიორგი შერმადინის და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსა“ ბელგიურ „მონსს“ ესტუმრა და, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, D ჯგუფის აუტსაიდერი იოლად — 104:65 დაამარცხა.**

შეხვედრის ბედი ფაქტობრივად დიდი შესვენებისთვის (33:48) იყო გადაწყვეტილი, ამდენად, ესპანური კლუბის მთავარ მწვრთნელ ხოსე ლუის აბოსს გუნდის ლიდერები დიდად არ დაუტვირთავს.

შერმადინმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში გახლდათ, 14:49 წუთს ითამაშა და 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც ამდენჯერვე დაჯარიმდნენ.

13:44 წუთი ერგო სანიკიძეს, რომლის მონაგარიც ასევე 8 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი იყო. ვიქტორმა 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა, ერთხელ დაჯარიმდა, მასზე კი თამაშის წესები 4-ჯერ დაირღვა.

საინტერესოა, რომ „სარაგოსას“ განაცხადში მყოფი 11 კალათბურთელიდან ყველაზე ღრმა სათადარიგო ხავიერ მარინმაც კი მოედანზე 10 წუთი გაატარა, თუნდაც 1 ქულის ჩაგდება ყველამ მოახერხა, სტუმართაგან ათმა მოთამაშემ კი 7 ან მეტი ქულა მიითვალა.

ქართველთა კლუბმა 3 მარცხის წილ მე-3 გამარჯვება იზეიმა და ტურის სხვა მატჩების გამართვამდე D ჯგუფში მე-4 ადგილზე იმყოფება. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის საუკეთესო სამეული გააღწევს, სარაგოსელთა შანსებს კი ის ზრდის, რომ დარჩენილი 4 შეხვედრიდან 3 მათ შინ უწევთ.

27 ნოემბერს არაგონელები ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ ბერლინის „ალბას“ უმასპინძლებენ, რომელთანაც გერმანიაში 68:71 დამარცხდნენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფეხბურთი

# ერთი ყველასათვის...

**პორტუგალიის ნაკრებს ვარსკვლავები არ აკლია, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუ მაინც სხვაა. საკულტო ფიგურააო, რომ იტყვიან, სწორედ მადრიდის „რეალის“ ლიდერზეა ზედგამოჭრილი.**

ეს რომ ასეა, შვედებთან „მუნდიალ-2014“-ის პლეი-ოფებმა დაადასტურა, სადაც ელიტურ კუნძულ მადეირაზე სიღარიბეში დაოსტატებულმა ვარსკვლავმა ყველა თანამემამულის ნაცვლად ივაჟკაცა და ოთხივე ბურთის გატანით პირადად გადაწყვიტა ბრაზილიის საგზურის ბედი — 3:2 (1:0).




აღსანიშნავია, რომ ღირსეულ მეტოქეთა დუელში სკანდინაველთა ბომბარდირმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც იყოჩაღა, თუმცა მისმა „დუბლმა“ მხოლოდ სტატისტიკოსთა უბის წიგნაკები შეავსო.

კიდევ უფრო რთული ამოცანა გადაჭრა წარმატებით საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც უკრაინას ორბურთიანი დეფიციტი აღმოუფხვრა — 3:0 (0:2, სახო, ბენზემა, გუსევი — საკუთარ კარში).

რასაკვირველია, დამარცხებულნიც პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ უმაღლესი რანგის ფორუმი „სამფეროვანთა“ და, განსაკუთრებით, ლუზიტანიელთა გარეშე, რომლებიც რიოს ნაპირებზე, გარკვეულწილად, მასპინძლის რანგში მოგვევლინებიან, საგაისო ფორუმს, დაგვეთანხმებით, ბრწყინვალება მოაკლდებოდა.

**დანარჩენი შედეგები:** რუმინეთი — საბერძნეთი 1:1 (1:3), ხორვატეთი — ისლანდია 2:0 (0:0).

**ამხანაგური შეხვედრები:** ინგლისი — გერმანია 0:1, იტალია — ნიგერია 2:2, სამხრეთ აფრიკა — ესპანეთი 1:0, ჰოლანდია — კოლუმბია 0:0, არგენტინა — ბოსნია 2:0, ბრაზილია — ჩილე 2:1, ბელგია — იაპონია 2:3, რუსეთი — კორეა 2:1.

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# ტომი ევანსი – ბრიტანელ ქალთა გულთამპყრობელი

**შოტლანდიელი მორაგბე და მოდელი მამაკაცი ტომი ევანსი ბრიტთა კუნძულზე ქალების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გულთამპყრობელად ითვლება. თუკი ბრიტანელ წითურ ლამაზმანებს გონებასა და ჭკუას რაიმე უმღვრევს, — ეს პირველ რიგში ევანსის მხარბეჭი და გამოხედვაა.**



ტომი ევანსიც შესანიშნავად იფერებს ამ დიდ პოპულარობას და ყოველ ღამე საწოლში ახალ-ახალი ლამაზმანი ჰყავს ჩაკოტრიალებული. წლების მანძილზე სქოთ მორაგბესა და მოდელს არაერთი მეგობარი გოგო ჰყავდა, რომლებიც ევანსს, რასაკვირველია, ვერ შეეწყვნენ.

ამას წინათ მედიასთან საუბარში ტომი ევანსს უთქვამს: ამდენ ქალთან იმიტომ დავძვრები, რომ მინდა ბედნიერება რაც შეიძლება მეტ ასულს მივანიჭოო. ბედნიერების ახსნაც ასეთი უნდა...

**როსტომ რაჭველიშვილი**

მხარე

# კახეთის განვითარების რვაწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია

**ბიძინა ივანიშვილმა კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტში წერია, რომ მომდევნო 8 წლის განმავლობაში ინვესტიციები ძირითადად სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებას მოხმარდება. დოკუმენტში, რომელიც თაბახის 74 გვერდზეა განთავსებული, დეტალურადაა აღწერილი პრობლემები, რეგიონის დადებითი და უარყოფითი მხარეები. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურის რწმუნებული პაატა პაატაშვილი ამბობს, რომ თუ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ვინმე ზრუნვას დაიწყებს, ეს უნდა მოხდეს სარწყავი სისტემების პრობლემის მოგვარებით:**




„ძალიან კარგი იქნება სარწყავი სისტემების მოგვარება, ასე ვთქვათ, წვეთოვანი სისტემების გაკეთება, რაც ძალიან აკლია სოფელს. როდესაც გვალვის პერიოდი იწყება, ხალხი ვერ რწყავს და ამიტომ მოსავალიც შეიძლება ვერ მოვიდეს. რაც შეეხება იმას, რომ ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს მივაწოდოთ, ეს ყოველდღიურად ხდება“.

აგრომრეწველობა, ტურიზმი, წარმოება, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, ალტერნატიული ენერგიის წყაროები, ბუნებრივი კატასტროფები, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, განათლება, ჯანდაცვა — ეს არასრული ჩამონათვალია იმ სფეროებისა, რაზეც კახეთის განვითარების დოკუმენტში დეტალურად არის საუბარი.

ერთ-ერთი ძირითადი პროგრამა იქნება ის, რომ მოხდება მიწების აღრიცხვიანობა, ფართობების დადგენა, საკადასტრო აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა. მოხდება კოოპერირების დაფუძნება...

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელი თელავში გურამ მერმანიშვილი ამბობს, რომ პროექტის შედეგებს საზოგადოება მალე იგრძნობს:

„ერთ-ერთი ძირითადი პროგრამა იქნება ის, რომ მოხდება მიწების აღრიცხვიანობა, ფართობების დადგენა, საკადასტრო აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა, კოოპერირების დაფუძნება. ეს ხელს შეუწყობს კოოპერატივების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე“.

ფერმერი ამირან ოქრუაშვილი მოხარულია, რომ მთავრობამ კახეთის განვითარებაზე საუბარი დაიწყო. მისი თქმით, სოფელში გლეხს დღეს ყველაზე მეტად ტექნიკის პრობლემა აქვს, რაც, თავის მხრივ, აგროვადების დაგვიანებას იწვევს:

„პირველ რიგში, ტექნიკა უჭირს ხალხს. ტექნიკის გარეშე ვერაფერი ვერ კეთდება. ბევრი წვალება სჭირდება ადამიანს. ერთი კვირა უნდა სდიო, შეიძლება მეტიც, თუმცა, მაინც ვერ კეთდება ხარისხიანად. ფიზიკურად არ არის ტრაქტორები“.

სტრატეგია ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც პროექტი. სტრატეგია არის მთელი ღონისძიებების კასკადი, რომელიც თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. აქ არ არის მხოლოდ ჩვენი ან რომელიმე სხვა სამინისტრო...

კახეთის ყოფილი გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი ვარაუდობს, რომ წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებული კახეთის განვითარების სტრატეგიული გეგმით გაწერილი სამუშაოები, შესაძლოა, ვერ განხორციელდეს. ჭიაბერაშვილი საკუთარ შეხედულებას ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობით ხსნის და ამბობს, რომ საქართველოში შექმნილი საინვესტიციო გარემო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საშუალებას არ იძლევა:

„სამწუხაროდ, დღევანდელი ეკონომიკური და ბიზნესვითარება ისეთია ქვეყანაში, რომ არანაირად არ უწყობს ხელს ინვესტიციების მოზიდვას თითოეულ ამ სექტორში. სტრატეგია დარჩება ფარატინა ქაღალდად, თუ მთავრობამ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა არ შეიმუშავა“.

დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციები და სამსახურები ირწმუნებიან, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ კახეთი ძლიერი მხარე გახდება და დღეს არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი წაქაძე გვეუბნება, რომ გეგმის განხორციელებაში ყველა უწყება იქნება ჩართული და კონკრეტული სამუშაოები 2014 წლიდან დაიწყება:

„სტრატეგია ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც პროექტი. სტრატეგია არის მთელი ღონისძიებების კასკადი, რომელიც თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. აქ არ არის მხოლოდ ჩვენი ან რომელიმე სხვა სამინისტრო. ეს არის ყოველმხრივი განვითარების სტრატეგია. შესაბამისად, ამის გაწერა რეგიონალური განვითარების პროგრამებში, იგივე, სამოქმედო გეგმებში, 2014 წლის დასაწყისიდან არის დაგეგმილი“.

კახეთის განვითარების 8-წლიანი გეგმა უკვე დამტკიცებულია. დოკუმენტში ლაპარაკი არ არის სავარაუდო თანხაზე, რომელიც გეგმის განხორციელების შემთხვევაში დაიხარჯება.

**გიორგი ალადაშვილი**



**გარდაიცვალა ქართული კულტურის მოამაგე, ბატონი ბონდო დადვაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი, ფოტოკორესპონდენტი, ფოტოხელოვანი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ღირსეული ქართველი.**

**საქართველოს კულტურის ფონდი გულისტკივილით იუწყება ბატონი ბონდო დადვაძის გარდაცვალებას, უსამძიმრებს ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

ინფორმაცია

## გაყიდიან „მიხაილოვის“ საავადმყოფოს?

**„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, სავარაუდოდ, ე.წ. მიხაილოვის სავადმყოფოს შენობის გაყიდვას უკავშირდება, — ამის შესახებ „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელმა ალეკო ელისაშვილმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**ალეკო ელისაშვილის განმარტებით, სავარაუდოდ, გაჩნდა ინვესტორი, რომელიც ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოს შენობას შეიძენს. შენობა სამი კორპუსისაგან შედგება, ცენტრალური და ორი გვერდითი კორპუსები, რომლებიც აღმაშენებლის გამზირზე გამოდის.**

**— ინვესტორი ხელისუფლებისგან ითხოვდა წასულიყო კომპრომისზე და ეს ორი გვერდითი შენობების დანგრევა განეხორციელებინა. სავარუდოდ, ამ ადგილზე 100 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, შენობების შესაძენად 7 მილიონი ლარი არის გათვალისიწნებული, — აცხადებს ელისაშვილი.**

**„ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ საჭიროა ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხი განსახილველად გამოიტანოს. როგორც ელისაშვილისთვისაა ცნობილი, ამჟამად ინვესტორთან მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს. მისივე თქმით, კულტურის სამინისტროში გარკვეულმა პირებმა უარი განაცხადეს შენობისთვის კულტურის ძეგლის სტატუსი მოეხსნათ. აღნიშნულის გამო სასწრაფოდ ხდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება.**

**ინტერპრესი**

ინფორმაცია

## ამოიღო ვადაგასული სურსათი

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ვადაგასული სურსათი ამოიღო და არარეგისტრირებული საშაურმე დააჯარიმა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „ჰამბურგის სავაჭრო სახლ დეჰაგედან“, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე — ი/მ „ნანი კალანდიას“ და ი/მ „ნონა კროპაძის“ მარკეტებიდან სარეალიზაციოდ გამოტანილი ვადაგასული პროდუქტები — რძე, თაფლის „ფანტელი“, საკონდიტრო ნაწარმი, სხვადასხვა წარმოების სოსისი, კარაქი, ყველი, ორცხობილა (რომელსაც რეალიზაციის ვადა შეცვლილი ჰქონდა) , ჩიპსი, ხაჭოს დესერტი, იოგურტი, ნამცხვარი ამოიღეს.**

**ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონის შესაბამისად განადგურდება. ამასთან, ი/მ „ნონა კროპაძე“ ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე სურსათის რეალიზაციისათვის 300 ლარით დაჯარიმდა.**

**სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, ასევე 300 ლარით დააჯარიმეს გაგარინის ქუჩაზე მდებარე ი/მ „კობა მჭედლიშვილი“, რომელიც ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე აწარმოებდა შაურმის რეალიზაციას.**

**ინტერპრესი**

მეცხვარეთა გასაჭირი

# ექსპორტი თითქმის შეწყდა

**ერთ დროს მზარდი და პოპულარული ბიზნესი — ცხვრის ექსპორტი — ლამისაა შეწყდეს. ბოლო 4 წლის განმავლობაში ცოცხალი პირუტყვის ექსპორტი 4-ჯერაა შემცირებული. ქართველი მეცხვარეები ისევ გასაჭირში ჩაცვივდნენ.**

**მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის ბექა გონიაშვილის ინფორმაციით, წლეულს ცხვრის ექსპორტი მხოლოდ აზერბაიჯანში განხორციელდა. აგვისტოს მონაცემებით, ამ ქვეყანაში 60 000 სული გავიდა.**



გონიაშვილის თქმით, საქართველოში ცხვრის ექსპორტს დიდი გასაქანი 2009 წლიდან მიეცა, როდესაც უცხოეთში 266 234 სული გაიყვანეს. მომდევნო წლებში რაოდენობა მცირდებოდა და 2012 წელს 120 000 შეადგინა.

„2012 წელს არაბულ ქვეყნებში 80 000 სული გავიდა, წელს კი ამ მიმართულებით ექსპორტი შეწყდა, ვინაიდან არაბები რუმინეთსა და მოლდოვაში ცხვარს შედარებით იაფად ყიდულობენ“, - აღნიშნავს გონიაშვილი.

რაც შეეხება საქართველოს, 2009 წლამდე 1 ცხვარი 50 ლარი ღირდა, შემდეგ ფასი 150-170 ლარამდე გაიზარდა, ამჟამად კი 150 ლარამდეა.

„ერთი ცხვრის შენახვა 110-115 ლარი ჯდება, თუკი მეცხვარე საძოვრის მეპატრონეა“, — აცხადებს გონაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საძოვრის გადასახადი მაღალია და ამიტომ ტარიფი უნდა გადაიხედოს.

ჯერჯერობით სამეზობლოში ასეთი ვითარებაა: თურქეთს არ სურს ქართული ცხვრის შესყიდვა, ირანში ინტერესი თანდათან გაუქრათ. დანარჩენი ქვეყნები მიზეზად სიძვირეს ასახელებენ. დროთა განმავლობაში შუამავლობას თავი დაანებეს სომხებმაც, რომელთაც ქართული საქონელი მეზობელ ირანში გაჰყავდათ. არსად ჩანან ყატარელებიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ისინი დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ჩვენებური ცხვრის მიმართ.

მეცხვარეთა ასოციაციის თავჯდომარე მიიჩნევს, რომ ასეთ სურათს მეცხვარეობის სფეროში არსებული პრობლემათა ჯაჭვი ქმნის და ვითარების გამოსასწორებლად ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები დაუყოვნებლივ უნდა გადადგას.

უმთავრესი ის არის, რომ ექსპორტზე ცოცხალი პირუტყვის ფასმა იმოქმედა. შუამავლების გამოისობით 1 სული ცხვარი 180-200 ლარამდეც კი გაძვირდა. მეცხვარეებმა და უფრო კი გადამყიდველებმა, მას შემდეგ, რაც საქართველოში არაბი ვაჭრები მასობრივად ჩამოვიდნენ, საქონელი გააძვირეს. ბოლოს და ბოლოს, ცხვრის ფასი არარეალურ ნიშნულს მიუახლოვდა.

ისე, რომ შესასყიდი ფასისა და მაღალი სატრანსპორტო დანახარჯების გამო, ბევრმა აზიელმა ექსპორტიორმა ქართულ ცხვარზე უარი თქვა (თვითმფრინავით ერთი სული ცხვრის გადაყვანა 50 დოლარი ჯდება). ირანში 1 კგ ცხვრის ხორცის ფასი 8-10 დოლარს აღწევს. ამიტომ მისი ხორცის გატანა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ცოცხალი პირუტყვის ტრანსპორტირება, მაგრამ ხორცის საექსპორტოდ დაფასოება რომ მოხდეს, ამისთვის ცხვრის სპეციალიზებული სასაკლაო უნდა იყოს, რაც ქვეყანაში ჯერ არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ცხვრის საექსპორტო პოტენციალი, ჯერჯერობით, 300 ათასზე მეტი არ არის. ამ ნიშნულს მხოლოდ ერთხელ, 4 წლის წინ მივუახლოვდით. მას შემდეგ კი ექსპორტის საქმე უკანუკან მიდის.

გონიაშვილის ინფორმაციით, მეცხვარეებს განსაკუთრებით ცხვრის გამოზამთრება უჭირთ, რადგან საკმარისი ზამთრის საძოვრები არ არის. ადრე ცხვარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიჰყავდათ, მაგრამ ახლა ქვეყანა უკვე საძოვრების სიმცირეს განიცდის.

**ეკა ბაქრაძე**

სტიქია

## ქარიშხალი ზუგდიდში

**ძლიერი ქარის შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სახლი დაზიანდა. ძლიერმა ქარმა, დევნილების კომპაქტურად ჩასახლების ადგილას , საცხოვრებელ სახლებს სახურავი გადახადა. ზუგდიდის ცენტრში ქარმა მოგლიჯა ხეები, რომლებიც ავტომანქანებს და ავტოფარეხებს დაეცა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მერაბ ქვარაიას განცხადებით, შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც შემთხვევის ადგილებზე გადიან. ასევე შექმნილია ჯგუფი, რომელიც ზუგდიდისთვის მიყენებულ ზარალს შეისწავლის. ზარალის საბოლოო რაოდენობა რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

## დღესასწაული

# კრება წმიდისა მთავარანგელოზთა მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა...

**21 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა — მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ბარაქიელისა (მათ გარდა მთავარანგელოზთა დასს მიეკუთვნება იერომიელი და ტახნიელი) კრების ხსენებას.**



მთავარი ანგელოზი არის მთავარანგელოზი მიქაელი. საქართველოში ამ დღესასწაულს განსაკუთრებულად ზეიმობენ თბილისის, ქუთაისის, ალგეთის, ჯუმათის, გრემის, მენჯის, კვათანის, შუამთის და სხვა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებსა და მონასტრებში.

...ადამიანები სწორედ ანგელოზებისგან იგებენ ღვთის ნებას. მაგალითად, მარიამ ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზმა აუწყა, რომ ის დედა გახდებოდა კაცობრიობის მხსნელისა — იესო ქრისტესი. ერთხელ კიდევ, დღევანდელ დღეს გავიხსენოთ, თუ როგორ გამოსახავენ ანგელოზებს ხატწერაში: მთავარანგელოზი მიქაელი ჯავშნით, ზეთისხილის რტოთი არის გამოსახული, მთავარანგელოზი რაფაელი — თევზთან და წამლის ჭურჭლით, ურიელი — ხმლით და ცეცხლის ალით, მთავარანგელოზი სელაფიელი — მლოცველის პოზაშია გამოსახული, მთავარანგელოზი იეგუდიელი — მარჯვენაში — ოქროს გვირგვინით, მარცხენა ხელში — შოლტით, ბარაქიელ მთავარანგელოზი ვარდისფერი ყვავილებით შემკული სამოსით არის გამოსახული, იერომიელი მთავარანგელოზი და ტახნიელი მთავარანგელოზი — სასწორით ხელში არიან გამოსახული და ისინი მიიჩნევიან საღვთო სიყვარულის აღმძვრელად.



წმინდა წერილში ნათქვამია: „ოდეს შექმნულ იქმნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“.

ამგვარად, ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედების სიბრძნეს და ძალას.

...მთავარანგელოზთა ხსენების დღე დაწესდა მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე დღით ადრე.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### ტელეპატიური ხიდი... კოსმოსიდან



**ამერიკელი ასტრონავტი ედგარ მიტჩელი მეექვსე კაცია, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა და სხვებზე მეტ ხანს, ცხრა საათის განმავლობაში იქ იარა.**

1971 წელს მან, კოსმოსური ხომალდის „აპოლო-14“-ის ეკიპაჟის სხვა წევრებისგან მალულად, დედამიწასთან... ტელეპატიური კავშირის რამდენიმე სეანსი დაამყარა. იგი დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრიდან დაჯგუფებულად ციფრებს გადმოსცემდა. გავრცელებული ინფორმაციით, დედამიწაზე „მიმღებმა-ადამიანებმა“ 200-დან 51 მისი გზავნილი სწორად გაშიფრეს, რაც ფანტასტიკური შედეგია, თუმცა კი ოფიციალურად ეს ცნობა არავის დაუდასტურებია.

### გონიერები უფრო მეტს ტირიან

**ჩვენმა წინაპრებმა ტირილი ლაპარაკზე გაცილებით ადრე დაიწყეს — დღესაც მხოლოდ ასე შეუძლიათ ჩვილებს გარშემო მყოფთათვის თავიანთი შეგრძნებებისა და განწყობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.**

ადამიანი დედამიწაზე ერთადერთი არსებაა, რომელსაც სიხარულის თუ უბედურების გამო ტირილი შეუძლია. არადა, განა გასაკვირი არ არის, რომ ეს უნიკალური თვისება მხოლოდ ჰომო საპიენსისთვისაა დამახასიათებელი? ამ კითხვაზე პასუხს ლონდონის უნივერსიტეტის ნევროლოგიის პროფესორის მაიკლ თრიბლის წიგნი „რატომ მოსწონთ ადამიანებს ტირილი“ იძლევა.



— წინაპრებისთვის ცრემლები არამარტო ბიომექანიკურ და დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ, რათა თვალები ნამიანი ყოფილიყო და შიგ ინფექცია არ შეჭრილიყო, — აცხადებს ავტორი. — მთავარი ისაა, რომ ცრემლი მეტყველების წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე ურთიერთობის საშუალება იყო, რადგან ქვითინით საკუთარი გრძნობების, შეგრძნებების თანამოძმეთათვის გაზიარება შეიძლებოდა.

ამდენად, გამოდის, რომ ტირილი ადამიანებმა თვითშეგნების გარიჟრაჟზე მას შემდეგ დაიწყეს, რაც მიხვდნენ, რომ ამით ტომის წევრებისთვის მათი დარდის, ტკივილის თუ სიხარულის გაზიარება შეეძლოთ. ისე კი ფსიქოლოგები ადრეც ეჭვობდნენ, რომ ტირილი— ესაა სოციალური ნიშანი. ცრემლი სახეზე სუსტების სახასიათო მიმიკას იწვევს, რაც ადამიანთა ყურადღებას იპყრობს, ანუ მტირალი კაცი ყურადღების მიპყრობის, მისდამი თანაგრძნობის გამოწვევას ცდილობს. ამდენად, ტირილი — ყოველთვის ურთიერთობას გულისხმობს.

მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ, როცა ადამიანი სიმარტოვეში ტირის, აზრით იგი მეგობრებს, მტრებს ან უფალს მიმართავს. მას აუცილებლად სჭირდება, რომ ის ვინმემ შეამჩნიოს.

აღმოჩნდა, რომ ხანდაზმულთა მზერა იმიტომ მკრთალდება, რომ ისინი ცრემლებს აღარ გამოიმუშავებენ, რომელთა გარეშე თვალის ლორწოვანი გარსი ადვილად ზიანდება. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ტირილის უნარის დაკარგვა სიბერის ერთ-ერთი ნიშანია. ამიტომაცაა, რომ ისინი ურთიერთობის ხალისს კარგავენ, რადგან ყურადღების მიპყრობა აღარ სურთ.

### პრეზიდენტის ჯინაზე

**ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს იმ ლიდერი ხუთი ქვეყნის სიაში შედის, სადაც არა მარტო ყველაზე მეტი სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ, არამედ სისრულეშიც მოყავთ, რადგან აპელაციების დაკმაყოფილების პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეა, ძალიან დაბალია.**



სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით ფედერალურ დონეზე 33 შტატშია გათვალისწინებული, რომელთა შორის, ტრადიციულად, ტეხასი პირველობს.

21-ე საუკუნეში სიკვდილმისჯილ დამნაშავეთა უმრავლესობას სასიკვდილო ინიექციებით კლავენ. დანარჩენ ხერხებს კი — ელექტრულ სკამს, დახვრეტას, ჩამოხრჩობას, გაზის საკანს გაცილებით იშვიათად იყენებენ. ზოგიერთ შტატში სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანაზე მორატორიუმი მოქმედებს. ეს რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული: ერთი რომ ინიექციებისთვის განკუთვნილი პრეპარატები ყოველთვის არ მოქმედებს, მათი ალტერნატივა კი ჯერჯერობით არ არსებობს, მეორე კი დოზების დეფიციტია, რადგან ბევრ ფარმაცევტულ კომპანიას „ცოდვაში ფეხის ჩადგმა“ არ სურს და მომაკვდინებელი პრეპარატების წარმოებაზე უარს აცხადებენ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯისადმი ამერიკელთა დამოკიდებულება გამუდმებით იცვლება, რადგან ყოველი მორიგი გახმაურებული პროცესის შემდეგ განაჩენის სამართლიანობისადმი რწმენა ხან იკლებს, ხან მატულობს. მაგალითად, 2011 წელს სიკვდილით დასაჯეს პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი, თუმცა კი უამრავ ხალხს განაჩენის სამართლიანობაში დღესდღეობითაც ეჭვი ეპარება.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ცხოვრობდა ორი დათვი. ერთ მათგანს ეგონა, რომ ზამთრობით საკუთარ თათს წუწნიდა... მეორე კი თავხედურად სარგებლობდა ამით...**

* * *

**— ოი, გოგოებო, გუშინ ისე დავთვერი, რომ გავითიშე. მერე კი გამეღვიძა და მაგიდაზე დავიწყე ცეკვა... — უყვება დაშა დაქალებს.**

**— არა უშავს, ვის არ დამართნია!**

**— ჰო, მაგრამ პათოლოგანატომს სუსტი გული აღმოაჩნდა!**



**სვანი მანქანის მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდას აბარებს.**

**— ვერ ჩააბარეთ, ჩაიჭერით, — ეუბნება ინსტრუქტორი.**

**— როგორ ჩავიჭრებოდი, კაცო, ჯერ ხომ არც დამიქოქავს მანქანა?**

**— რანაირად დაქოქავდი უკანა სავარძლიდან?**

* * *

**— ქალბატონო, თქვენს სახლში ხომ არ არის განდიდების მანიის შემთხვევები? — ეკითხება პაციენტს ფსიქიატრი...**

**— არის, ექიმო, არის! ჩემი ქმარი სისტემატურად ამტკიცებს, რომ იგი ოჯახის უფროსია!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაძე 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24